№7 (28) ივლისი, 2002 ფასი 1 ლარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტიელი

სპორტული ჟურნალი





3 სოსო კოტორეიშვილი
საშუალო ფენა

6 **2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შედეგები**

7 მამუკა კვანტალიანი
მიქარვათა აღლუმი

10 ვაჟა ხუციშვილი
შინ დაბრუნების უარესი ვარიანტები

16 სოლომონ გულისაშვილი
ORDEM E PROGRESSO! PENTACAMPEAO!

18 პაპუნა კედია
ვის გააქვს გოლი საკუთარ კარში?

22 ირაკლი პერტაია
საპრეზიდენტო ნიღბები

24 ირაკლი ფირაშვილი
ათწლეულების მთავარი გმირი

25 ლევან კელაურაძე
CHERCHEZ SERENA

26 ტუტა სიხარულიძე
ჩემს ტვინში მისი ხელი? რა სისულელეა!

14-15 გვერდი. ბრაზილიის ნაკრები — 2002 REUTERS

I 30 ივნისი. იოკოჰამა. ბრაზილიელთა კაპიტანი კაფუ მსოფლიო თასით ხელში. REUTERS

II ზეიმი ბრაზილიის ქუჩებში. REUTERS

III 8 ივნისი. მეშფისი. ლენოქს ლუისი მსოფლიოს უდავო ჩემპიონია. REUTERS

IV 2002 წლის მსოფლიოს ვიცე

რედაქტორი ილია გაგუნაშვილი
რედაქტორის მოადგილე სოლომონ გულისაშვილი
ტექნიკური რედაქტორი რუსუდან დარსაველიძე
სტილისტი ცისანა ნიკოლაიშვილი
ოპერატორი ლია გელელია

მრჩეველთა საბჭო:
ვახტანგ ბზიკაძე, მამუკა გუბელაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ემზარ ზენაიშვილი, სოსო კოტორეიშვილი, ზურაბ ფოცხვერია

ჟურნალ სარგებელის დამატება

რეკლამა ჟურნალ «სარგებელში» — 93 16 08

ეროვნული ბიბლიოთეკა

REUTERS

საშუალო ფენა
ყველაფერი ძველი მარტივია

სოსო კოტორეიშვილი

მსოფლიოს მე-17 ჩემპიონატის ფინალში, რომელიც იოკოჰამას „სენთრალ სთედიუმზე" გაიმართა, ბრაზილიამ 2:0 დაამარცხა გერმანია და მეხუთედ ირგუნა პლანეტის უპირველისი გუნდის სახელი. ეს მშრალი ცნობა, იქნებ კარგა ხნის მერე სტატისტიკის მოყვარულთათვის საკმარისი იყოს, მაგრამ ვერაფრით დააკმაყოფილებს იმ ადამიანთა ცნობისმოყვარეობას, რომელთათვის ფეხბურთი მხოლოდ შედეგი და ტაბლოზე დაფიქსირებული ანგარიში არ არის. კორეა-იაპონიის მუნდიალმაც იმდენი საფიქრალ-საკამათო დაუტოვა არა მარტო ქომაგთ, არამედ, მსოფლიოს ფეხბურთის მამებსაც, რომ ვფიქრობთ, უპრიანია, თვალი გადავავლოთ პირველი აზიური მსოფლიოს ჩემპიონატის პერიპეტიებს. ოღონდ, აქვე შევთანხმდეთ, ჩვენს წერილში სიტყვას არ დავძრავთ ყბადაღებულ მსაჯობის თემაზე. ამაზე უფრო წვრილად რამდენიმე გვერდის გადაფურცვლის მერე წიაკითხავთ.

ჯერ ის ვთქვათ, რომ ჩემპიონატის დაწყებას საკმაოდ ხმაურიანი და სკანდალური ამბავი უძღოდა. ფიფას საპრეზიდენტო არჩევნებზე მოგახსენებთ. ბრაზილიელი ჟოაუ აველანჟის მემკვიდრეს, შეეცარიელ იოზეფ ბლატერს ფიფასვე გენერალურმა მდივანმა მიშელ ზენ-რუფინენმა და უეფას პრეზიდენტმა ლენარტ იუჰანსონმა მძლავრად შეუტიეს, ბლატერს კორუფციაში დასდეს ბრალი და არჩევნებზე ფიფას ვიცე-პრეზიდენტს, კამერუნელ ისა ჰაიატუს დაუჭირეს მხარი. საფეხბურთო სამყარო ბლატერის ოთხწლიანი ბატონობის დამხობას წინასწარმეტყველებდა, მაგრამ აველანჟის ფრთებქვეშ გამოზრდილი შვეიცარიელი საკმაოდ გონიერი, ფრთხილი და პრაგმატული კაცი გამოდგა. მაშინ, როცა არჩევნებამდე ჰაიატუ-იუჰ ანსონ-ზენ-რუფინენის ტრიო ათასი მამხილებელი საბუთებითა და მედიის საშუალებებით ცდილობდა პრეზიდენტისთვის ნიღბის ჩამოხსნას, ბლატერი უხმაუროდ აკეთებდა საქმეს, ფიფას სუბიექტებთან — ეროვნულ ფედერაციებთან „ჭუკჭუკებდა" და როგორც 29 მაისს, სეულში გამართულ ყრილობაზე გამოჩნდა, ამან შედეგი მოიტანა. იოზეფ ბლატერი მსოფლიოს ფეხბურთს კიდევ ოთხი წელი უთავკაცებს.

ეგ იყო და ფეხბურთიც გახურდა. მერედა როგორ, ჩემპიონატის გახსნის მატჩში მუნდიალის დებიუტანტმა სენეგალმა მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი საფრანგეთი დაამარცხა. კორეა-იაპონია სენსაციით დაიწყო და ასევე გაგრძელდა. საფრანგეთმა ეგრეძც ვერ მოახერხა ჯგუფში გამარჯვება, ურუგვაისთან უგოლო მატჩში მოპოვებულ ქულას დასჯერდა, ერთ-ერთმა ფავორიტმა აზიაში გოლსაც ვერ გაუგო გემო და ჩემპიონობის მაძიებელთა რიცხვი ერთით შემცირდა.

შემცირებაში მოჰყვა უპირველეს ფავორიტად მონათლული არგენტინაც, რომელიც ჩემპიონატამდე ყველაზე გამართულ, დაბალანსებულ გუნდად ჩანდა და იმ ფეხბურთელებსაც ვერაფერს დაუწუნებდით, მარსელომ ბიელსამ აზიის გზას რომ გაუყენა. გაუჩოებმა „სიკვდილის ჯგუფი" ცოცხლად კი დაიწყეს, ნიგერიას 1:0 სძლიეს, მაგრამ ველარაფერი მოუხერხეს შვედი სვენ გორან ერიკსონის დამოძღვრილ ინგლისს — ამბიციურ, ჩემპიონატზე მეოცნებე გუნდს. ინგლის — არგენტინის ისტორიულ მტრობას თუ გავიხსენებთ და არც იმას დავივიწყებთ, რამხელა მნიშვნელობას ანიჭებდნენ მეტოქეები ერთმანეთთან შეხვედრას, გასაგები გახდება მატჩის შემდეგ ინგლისელთა და არგენტინელთა ურთიერთსაპირისპირო ფსიქოლოგიური განწყობა. ჯგუფში ჩარჩა მოხდენილი პორტუგალიაც, მერვედფინალიდან გაემგზავრა შინ იტალია, ტრადიციულად მეოთხედფინალი იკმარა ესპანეთმა, ვინღა დარჩა?

გერმანია, რომლის ჯგუფიდან გასვლასაც კი ყველაზე კრიტიკული გერმანელი ქომაგიც რუდი ფოლერს წარმატებად ჩაუთვლიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



REUTERS

იოზეფ ბლატერმა ახალი ოთხწლეული ათვალა



გაბრიელ ომარ ბატისტუტა და არგენტინა მუნდიალიდან ასე წავიდნენ

ჩემპიონატზე გაჭირვებით მოხვედრილი ბრაზილია, ლუიშ ფელიპე სკოლარის დაცვაზე დაგეშილი გუნდი, რომლის შესარჩევ ეტაპზეც თამაში სრულიად ბრაზილიას მუნდიალზე შერცხვენას უქადდა და...

...კორეა და თურქეთი. ჰა, როგორი საქმეა? მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალში საფეხბურთო ოკეანის ფსკერზე დალექილი გუნდები.

მოდით, მცირე ხნით გერმანია - ბრაზილია დავივიწყოთ და ეგრეთ წოდებულ საშუალო ფენაზე ვთქვათ. დიახ, მსოფლიო ფეხბურთში დროთა განმავლობაში ჩამოყალიბდნენ ისეთი გუნდები, რომლებიც ვარსკვლავებს ვერ ეთამაშებიან, მაგრამ არც ბობოლათაგან თავში ხელის წამორტყმას იკადრებენ, უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, ისტორია მოვიშველიოთ. მუნდიალების ნახევარფინალებში, გამორჩეულად ბოლო ოცწლეულში, ყოველთვის გამოერეოდა ისეთი ნაკრები, რომლისგანაც ასეთ გამოხტომას არავინ ელოდა. 1994 წელს ბულგარეთმა უწია მოწინავე ოთხეულს, 1998-ში ხორვატიამ, წლეულს კი, ზემოთაც მოგახსენეთ, კორეამ და თურქეთმა ითავხედეს. არც ის დავივიწყოთ, რომ თავში ნახსენებმა უსიმპათიურესმა სენეგალმა და გამართულმა ამერიკამ მეოთხედფინალი დააჭაშნიკეს. ასეთი გარემოება კი გვაფიქრებინებს, რომ საშუალო ფენა საკმაოდ მომძლავრებულა და ელიტარული ქვეყნებისთვის ანგარიშგასაწევი ძალა გახდა. აქვე ერთიც შევნიშნოთ: იოზეფ ბლატერი საარჩევნო კამპანიისას, სწორედ რომ საშუალო ფენას დაეყრდნო და ურთიერთთანამშრომლობამ ორივეს ხეირი მოუტანა.

სენეგალისთვის მსოფლიოს თასი მეტისმეტი იყო

REUTERS

მაგრამ ბოლოს მაინც ყველაფერი ლოგიკურად დასრულდა. საშუალოები ვარსკვლავებს ვერ შეეთამაშნენ. ნახევარფინალებში ბობოლებმა იმძლავრეს და მივიღეთ ჯერ არნახული და ჯერ არ გაგონილი ფინალი — ბრაზილია — გერმანია. მსოფლიოს ჩემპიონატების ისტორიაში ეს გუნდები პირველად შეხვდნენ ერთმანეთს, მაგრამ უკვე მერამდენედ დაამტკიცეს, რომ ფეხბურთი თამაშია. თამაში თავისი წესებით —

REUTERS

წესი კი ძალიან მარტივია — დაარტყი, გაიტანე!

30 ივნისს, ბრაზილიელმა რონალდომ ორჯერ გაიტანა, გერმანელებმა ვერცერთხელ, ბრაზილიამ მოიგო და მსოფლიოს ჩემპიონი გახდა. ძალიან მარტივია არა?

REUTERS

ეროვნული ბიბლიოთეკა

2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი

A ჯგუფი

31.05	საფრანგეთი — სენეგალი 0:1
01.06	ურუგვაი — დანია 1:2
06.06	დანია — სენეგალი 1:1
06.06	საფრანგეთი — ურუგვაი 0:0
11.06	დანია — საფრანგეთი 2:0
11.06	სენეგალი — ურუგვაი 3:3

დანია	3	2	1	0	5:2	7
სენეგალი	3	1	2	0	5:4	5
ურუგვაი	3	0	2	1	4:5	2
საფრანგეთი	3	0	1	2	0:3	1

B ჯგუფი

02.06	პარაგვაი — ს. აფრიკა 2:2
02.06	ესპანეთი — სლოვენია 3:1
07.06	ესპანეთი — პარაგვაი 3:1
08.06	ს. აფრიკა — სლოვენია 1:0
12.06	ს. აფრიკა — ესპანეთი 2:3
12.06	სლოვენია — პარაგვაი 1:3

ესპანეთი	3	3	0	0	9:4	9
პარაგვაი	3	1	1	1	6:6	4
ს. აფრიკა	3	1	1	1	5:5	4
სლოვენია	3	0	0	3	2:7	0

C ჯგუფი

03.06	ბრაზილია — თურქეთი 2:1
04.06	ჩინეთი — კოსტა რიკა 0:2
08.06	ბრაზილია — ჩინეთი 4:0
09.06	კოსტა რიკა — თურქეთი 1:1
13.06	კოსტა რიკა — ბრაზილია 2:5
13.06	თურქეთი — ჩინეთი 3:0

ბრაზილია	3	3	0	0	11:3	9
თურქეთი	3	1	1	1	5:3	4
კოსტა რიკა	3	1	1	1	5:6	4
ჩინეთი	3	0	0	3	0:9	0

D ჯგუფი

04.06	ს. კორეა — პოლონეთი 2:0
05.06	აშშ — პორტუგალია 3:2
10.06	ს. კორეა — აშშ 1:1
10.06	პორტუგალია — პოლონეთი 4:0
14.06	პორტუგალია — ს. კორეა 0:1
14.06	პოლონეთი — აშშ 3:1

ს. კორეა	3	2	1	0	4:1	7
აშშ	3	1	1	1	5:6	4
პორტუგალია	3	1	0	2	6:4	3
პოლონეთი	3	1	0	2	3:7	3

E ჯგუფი

01.06	ირლანდია — კამერუნი 1:1
01.06	გერმანია — საუდეთი 8:0
05.06	გერმანია — ირლანდია 1:1
06.06	კამერუნი — საუდეთი 1:0
11.06	კამერუნი — გერმანია 0:2
11.06	საუდეთი — ირლანდია 0:3

გერმანია	3	2	1	0	11:3	7
ირლანდია	3	1	2	0	5:2	5
კამერუნი	3	1	1	1	2:3	4
საუდეთი	3	0	0	3	0:12	0

F ჯგუფი

02.06	არგენტინა — ნიგერია 1:0
02.06	ინგლისი — შვედეთი 1:1
07.06	შვედეთი — ნიგერია 2:1
07.06	არგენტინა — ინგლისი 0:1
12.06	შვედეთი — არგენტინა 1:1
12.06	ნიგერია — ინგლისი 0:0

შვედეთი	3	1	2	0	4:3	5
ინგლისი	3	1	2	0	2:1	5
არგენტინა	3	1	1	1	2:2	4
ნიგერია	3	0	1	2	1:3	1

G ჯგუფი

03.06	ხორვატია — მექსიკა 0:1
03.06	იტალია — ეკვადორი 2:0
08.06	იტალია — ხორვატია 1:2
09.06	მექსიკა — ეკვადორი 2:1
13.06	მექსიკა — იტალია 1:1
13.06	ეკვადორი — ხორვატია 1:0

მექსიკა	3	2	1	0	4:2	7
იტალია	3	1	1	1	4:3	4
ხორვატია	3	1	0	2	2:3	3
ეკვადორი	3	1	0	2	2:4	3

H ჯგუფი

04.06	იაპონია — ბელგია 2:2
05.06	რუსეთი — ტუნისი 2:0
09.06	იაპონია — რუსეთი 1:0
10.06	ტუნისი — ბელგია 1:1
14.06	ტუნისი — იაპონია 0:2
14.06	ბელგია — რუსეთი 3:2

იაპონია	3	2	1	0	5:2	7
ბელგია	3	1	2	0	6:5	5
რუსეთი	3	1	0	2	4:4	3
ტუნისი	3	0	1	2	1:5	1

მერვეددფინალი

15.06	გერმანია — პარაგვაი 1:0
15.06	დანია — ინგლისი 0:3
16.06	შვედეთი — სენეგალი 1:2დ.დ. (1:1)
16.06	ესპანეთი — ირლანდია 1:1დ.დ. (პენ.3:2, 1:1)
17.06	მექსიკა — აშშ 0:2
17.06	ბრაზილია — ბელგია 2:0
18.06	იაპონია — თურქეთი 0:1
18.06	ს. კორეა — იტალია 2:1დ.დ. (1:1)

მეოთხედფინალი

21.06	ინგლისი — ბრაზილია 1:2
21.06	გერმანია — აშშ 1:0
22.06	ესპანეთი — კორეა 0:0 (პენ.3:5)
22.06	სენეგალი — თურქეთი 0:1დ.დ. (0:0)

ნახევარფინალი

25.06	გერმანია — ს. კორეა 1:0
26.06	ბრაზილია — თურქეთი 1:0

მატჩი მესამე ადგილისთვის

29 ივნისი

სამხრეთ კორეა — თურქეთი 2:3

ფინალი

30 ივნისი

გერმანია 0:2 ბრაზილია

0:1, 0:2 რონალდო (67, 79)

გერმანია: კანი, ფრინგსი, რამელო, ლინკე, მეცელდერი, შნაიდერი, იერემისი (ასამოა 77), ჰამანი, ბოდე (ციგე 84), კლოზე (ბირჰოფი 74), ნოვილი

მწვრთნელი: რუდი ფიოლერი

ბრაზილია: მარკოსი, ედმილსონი, ლუსიო, როკე ჟუნიორი, კაფუ, კლებერსონი, ჟილბერტო სილვა, რობერტო კარლოსი, რივალდო, რონალდო (დენილსონი 90), რონალდინიო (ჟუნინიო 85)

მწვრთნელი: ლუიშ ფელიპე სკოლარი

გაფრთხილება: როკე ჟუნიორი, კლოზე

მსაჯი: პიერლუიჯი კოლინა (იტალია)

69 029 მაყურებელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთელი მსოფლიო ლაპარაკობს კორეა-იაპონიაში მსაჯების შეცდომებზე, ვისი მიზეზითაც ჯერ იტალია დაბრუნდა შინ ნაადრევად, მერე კი ესპანეთი. მსოფლიოს ჩემპიონატზე არბიტრების ყველა ცოდვა რომ გავიხსენოთ, ალბათ, სხვაზე სასაუბროდ დრო არ დაგვრჩება.

განა სხვა დროს არ შემცდარან მსაჯები?.. ბაქოელი ტოფიკ ბახრამოვის 36 წლის წინანდელმა გადაწყვეტილებამ ინგლისს მსოფლიოს ჩემპიონის ჯერაც ერთადერთი ტიტული მარილმოუყრელი მადლივით დაუტოვა. თუმცა, კორეა-იაპონიაში დატრიალებულმა ამბებმა, საფეხბურთო ამქარს მსაჯთა ყველა ადრინდელი შეცდომა დააავიწყა.

რა იყო მიზეზი, რატომ აიმხედრეს „თემიდელებმა" თითქმის ნახევარი მსოფლიო, ყველაფერი შეცდომას უნდა მივაწეროთ თუ რაღაც წინასწარ განზრახულ, დაგეგმილ „შეთქმულებას". მსაჯთა სადავო გადაწყვეტილებებზე ფიფას ჩინოსანთა არცთუ მძაფრი რეაქცია მსოფლიოს ვერ ამშვიდებს, დღეს კი ქართველი არბიტრების, ფეხბურთის ფედერაციის სამსაჯო კომიტეტის კომენტარებს გაეცანით. მათი თვალით ნანახი და მერე ათასჯერ ვიდეოფირზე თუ გონებაში დატრიალებული მომენტების შეფასება, ვფიქრობთ, საინტერესო იქნება. ანატოლი მილჩენკო, ადიკ დურსუნიში, ოთარ გუნთაძე, ავთანდილ შალამბერიძე, სერგო ჯვარაცხელია, მერაბ მალალურაძე და ლევან ფანიაშვილი უცხოელი კოლეგების განსჯილზე თავიანთ მოსაზრებებს გვთავაზობენ.

მიქარვათა აღლუმი

მამუკა კვანტალიანი

— **ჩემპიონატზე** მსაჯების შეცდომებს მე არასათანადო მოშზადებას დავბრალებდი, — ამბობს **ანატოლი მილჩენკო**.

ფიზიკური მზადყოფნა, გამოცდილება, ამა თუ იმ საკამათო მომენტში სწრაფად გარკვევის უნარი — ეს ერთი უწყვეტი ჯაჭვია. მსოფლიოს ჩემპიონატის წინ ყველა მსაჯმა ჩაბარა ფიზიკურ-თეორიული ნორმატივები მათ ინსტრუქტაჟები არ მოაკლდებოდათ, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა.

პრობლემის თავიდათავი იმ ქვეყნების ეროვნულ ჩემპიონატებში უნდა ვეძებოთ, საიდანაც კორეა-იაპონიაში გამართული პირველობის მსაჯები არიან. ისინი ძირითადად სამხრეთ ამერიკის, აფრიკის და აზიის წარმომადგენლები იყვნენ. ევროპელ ნიეტოსაც ჩაუვარდა კამერუნ-გერმანიის მატჩი, უმიზეზოდ და უმოწყალოდ არიგა ბარათები. ესპანელს საერთოდ მკაცრ მსაჯად იცნობენ, — ასეთი მეთოდით ცდილობს ის თამაშის კონტროლს და ფეხბურთელების მოთოკვას, მაგრამ 11 ივნისს აშკარად გადაამლაშა.

არაევროპელები წლიდან წლამდე ეჩვევიან ნელ ბურთაობას. დაბალტემპიან მატჩებში გაცილებით იოლია მსაჯობა. სწრაფი ბურთაობისას მხოლოდ საკუთარ ალღოს მინდობილებს, მომენტი გამოეპარებათ ხოლმე და, შესაბამისად, გადაწყვეტილებაც არასწორია.

— იქნებ ფეხბურთში ვიდეოტექნიკის დანერგვამ აგვაცილოს თავიდან გაუგებრობები?

— ეს მეტ ქაოსს გამოიწვევს. რაგბის შეიძლება უხდებოდეს კიდეც სადავო მომენტის ვიდეოჩანაწერზე განხილვა. იქ თამაშის დროს პაუზები ისედაც ხშირია, ფეხბურთს კი შნო და ლაზათი დაეკარგება. წარმოიდგინეთ, გაიტანა გოლი იტალიამ, ტიფოზები ყირაზე გადადიან სიხარულისგან. ამ დროს მსაჯი დარწმუნებული არ არის, მართლა გავიდა თუ არა გოლი და მატჩის დელეგატისკენ გარბის სადავო მომენტის გასარჩევად. ტრიბუნებზე ასეთ დროს ვითარება უთუოდ დაიძაბება. მსოფლიოს ჩემპიონატზე და ცივილიზებულ ქვეყნებში შეხლა-შემოხლას შეიძლება გადავრჩეთ, მაგრამ როგორ გინდათ გადარეული ხალხი დააშოშმინოთ ჩვენს სტადიონებზე, ან არგენტინაში და სხვა მსგავს ქვეყნებში, სადაც გაცეცხლებული მაყურებლები ცივი თუ ცეცხლსასროლი იარაღით დარბიან?

კარგი, ამას თავი დავანებოთ, მაგრამ თავად მსაჯზე იქნება უდიდესი ფსიქოლოგიური ზეწოლა. ვიდეოჩანაწერის იმედით ის სულ უფრო მოუხშირებს მონიტორისკენ სირბილს და არც ერთ საჭოჭმანო გადაწყვეტილებას თავის თავზე არ აიღებს. ფეხბურთიც უსაშველოდ გაიწელება.

— გასაგებია, მაგრამ პრობლემა აშკარაა და ჯერჯერობით მოუგვარებელი.

— გეთანხმებით, თუმცა რატომ არ იკითხავთ, პიერლუიჯი კოლინას რად არ მოსდის მიუტევებელი შეცდომები?

— მსოფლიოს კოლინას არაერთი „ცოდვაც" ახსოვს.

— შეცდომისგან დაზღვეული არავინაა. თავად ფეხბურთელებს ყოველ მატჩში უამრავი შეცდომა მოსდით, მაგრამ ამისათვის ისინი სახრჩობელაზე არ აჰყავთ. იტალიელი არბიტრი იმიტომ კი არ არის საუკეთესო თავის საქმეში, რომ დაბადებიდან ღმერთმა ასე დაანათლა. კოლინა თითოეულ მატჩს მოშზადებული ხვდება, სწავლობს ფეხბურთელების ფსიქოლოგიას, არჩევს მოწინააღმდეგეთა ადრეულ დაპირისპირებებს. გამოცდილებაც მხარს უმაგრებს და შეცდომაც

ეკვადორელმა მსაჯმა, ბაირონ მორენომ, იტალიელთა ფორვარდი, ფრანჩესკო ტოტი კორეელებთან მრავალფინალურ შეხვედრაში გააძევა, მანამდე კი, ხორვატებთან, ჯგუფური ეტაპის მეორე მატჩში, ინგლისელი მსაჯის, გრემ პოლისა და დანელი თანამსაჯის, იენს ლარსენის დუეტმა, „სკუადრა აძურასთვის“ ორი გოლის გაუქმება მოახერხა.

იშვიათად მოსდის. კარგი მსაჯი მოედანზე შეუმჩნეველია. კოლინა ჩინებული არბიტრია.

ერთ დროს მილჩენკოს თანაშემწე **ალიკ ლურსუნიმი**:

— მე არა მგონია, რომ კორეა-იაპონიაში მსაჯების არასწორი გადაწყვეტილებები შემთხვევითი იყო. ცხადია შეცდომები სხვა ჩემპიონატებშიც ყოფილა მაგრამ ამდენი?.. ყველაფერს ფიფას სამსაჯო კომიტეტმა უნდა გასცეს პასუხი. მსოფლიოს ფეხბურთი ეჭვების საბურველშია გახვეული და ამის უყურადღებოდ დატოვება არ შეიძლება. ნათლად გამოჩნდა, რომ ყველაზე დიდი შეცდომა მსაჯების ტერიტორიული პრინციპით შერჩევაა.

სერგო კვარაცხელია თურქეთ-ბრაზილიის პირველ დაპირისპირებისას მსაჯის შეცდომაზე მეტად თანამსაჯის პასიურობა გაჰკვირვებია:

— თურქების კარში პენალტი რომ არ უნდა დანიშნულიყო, საკამათო არავისთვისაა. დავუშვათ, მთავარ არბიტრს მომენტი გამორჩა, მაგრამ თანამსაჯი ხომ კარგად ხედავდა წესების დარღვევის ადგილს. ვნებავთ, რივალდოს საქციელი გავიხსენოთ — სამხრეთკორეელ კიმს ის მომენტიც გამოეპარა. ეგი ბრაზილიელის სიმულაციამ გააბრიყვა, მაგრამ თანამსაჯის ცხვირწინ ხდებოდა ყველაფერი და ის რატომ იყო ასე ინერტული, გაუგებარია.

მერაბ მალალურაძის აზრით, მსაჯები თავიანთ უფლებებში ვერ გაერკვნენ:

— საფრანგეთ-ურუგვაის მატჩში ტიერი ანრის გამარჯობის თქმა არ დასცალდა, — უხეში თამაშისთვის გააძევეს. ფრანგი სასჯელს ნამდვილად იმსახურებდა, მაგრამ მეტი თუ არა, არანაკლები უხეშობისთვის ორ ურუგვაელ მოთამაშეს მაინც უნდა გაეზიარებინა მისი ბედი. ჩემპიონატის სამსაჯო კომიტეტმა ყველა არბიტრს ერთი და იგივე მითითება მისცა, მაგრამ ფაქტია, ეს მითითებები თითოეულმა თავისებურად აღიქვა და შედეგიც განსხვავებული მივიღეთ.

ლევან ფანიაშვილს იტალიაც და ესპანეთიც დაჩაგრული გუნდები ჰგონია, კორეის ნაკრებს კი ნახევარფინალში „გათრეულ“ გუნდს უწოდებს.

— ეკვადორელ ბაირონ მორენოს დამიანო ტომაზის ოქროს გოლი უნდა ჩაეთვალა. როგორც ირკვევა, არც ფრანჩესკო ტოტი ყოფილა გასაძევებელი, თუმცა ეკვადორელს ამის გამო ბევრი ვერ უსაყვედურებს. ტოტიმ მსოფლიოში დიდი ხანია მატყუარა მოთამაშის სახელი დაიგდო. მან პენალტის მოთხოვნით თავად მიიყვანა მორენო იმ გადაწყვეტილებამდე ეკვადორელის ადგილზე თითქმის ყველა მსაჯი ასევე მოიქცეოდა.

იტალიელთა გატანილი და ხუთი ჩაუთვლელი გოლიდან ორი ასპროცენტიანი იყო. ტომაზის გოლზე უკვე ვთქვით, ასევე ჩასათვლელი მგონია მარკო მატერაცის მიერ ხორვატთა კარში შეგდებული ბურთიც.

ესპანეთის გუნდს რაც შეეხება იგი ეგვიპტელი ჯამალ ღანდურისა და მისი თანაშემწის შეცდომას თუ ტენდენციურობას შეეწირა. იქნებ მე ვცდები და ვიდეოფირზეც ვერ ვნახე წესების დარღვევა პირინეელთა პირველი გოლისას, მაგრამ მთელმა მსოფლიომ დაინახა, ხოაკინს ხახს იქით ბურთი რომ არ გაჰქცევია.

ოთარ გუნთაძეს ირლანდიის ნაკრები შესცოდებია, თუმცა იმასაც აღიარებს, რომ მიკ მაკარტის ბიჭები მსაჯების მიზეზით არ დაჩაგრულან:

— ირლანდიელებს ესპანელებთან მატჩში პირველი პენალტი ნამდვილად აჩუქეს. თუმცა ამ შემთხვევაში მსაჯის მიკერძოებაზე ზედმეტია ლაპარაკი. დემიენ დაფმა ისე ოსტატურად „გააფორმა“ მომენტი, მსაჯი იქვე უნდა მდგარიყო, ტყუილი და სიმართლე ერთმანეთში რომ არ არეოდა.

შეიძლება საკამათო იყოს მეორე თერთმეტმეტრიანიც, მაგრამ იერომ აშკარად გადაამლაშა. მაისურა ლამის გახადა მეტოქეს. საერთოდ, მსაჯმა რომ მოინდომოს ნებისმიერი კუთხურისას პენალტს დანიშნავს, თუმც საჯარიმოში სამოსის დაქაჩვა მიღებულია, მთავარია, არ გადააჭარბო.

ავთანდილ შალამბერიძე გერმანია-აშშ-ის მატჩის არბიტრს ფიოლერის გუნდის კარში არდანიშნული პენალტის გამო ედავება.

— ტორსტენ ფრინგსს ხელით განზრახ არ უთამაშია, მაგრამ თერთმეტმეტრიანი აშკარა იყო: წამიც და ბურთი კარის ხახს გადაკვეთდა, გერმანელმა კი ხელი დაიხმარა. მსგავს მომენტში მნიშვნელობა არა აქვს, ფეხბურთელი განზრახ მოქმედებს ასე თუ უნებლიეთ.

მექსიკა-ეკვადორის მატჩებშიც დაკვირ-

ვებული მსაჯი ეკვადორელთა საჯარიმოში წესების დარღვევას შენიშნავდა, მაგრამ თამაში ორიოდ წუთის დაწყებული იყო და არბიტრმა აშკარად თავი შეიკავა.

იაპონელებთან შეხვედრაში რუსებიც ითხოვდნენ მსაჯისგან თერთმეტმეტრიანს, მაგრამ მათ ჩვევად აქვთ, გასაჭირის დროს მუდამ რაღაცას მოითხოვენ, თუმცა რა გამოსდით ამ საქმიდან, თავად ხედავთ.

ქართველ მსაჯებს მსოფლიოს ჩემპიონატზე ნანახ შეცდომებზე მეტად მოთამაშეთა უხეშობა ადარდებთ.

— ფეხბურთელები უკვე ერთმანეთს აღარ ინდობენ. განსაკუთრებით იმატა საჰაერო ორთაბრძოლებისას დაშავებულთა რიცხვმა. გაიხსენეთ იტალიელი კოკის გახეთქილი წარბი. მსგავსი შემთხვევა კიდევ რამდენიმე იყო.

მაღალი ბურთისთვის ბრძოლაში მეტოქეები იდაყვს და გაშლილ ხელსაც ურტყამდნენ სახეში ერთმანეთს. მოწინააღმდეგისთვის ტრავმის მიმყენებელი ხშირად დაუსჯელი რჩებოდა. გამორიცხულია, ყოველივემ თავისი დაღი არ დასვას მსოფლიო ფეხბურთს და ფიფა-უეფასაც ამ პრობლემის მოსაგვარებლად გვარიანი თავსატეხი გაუჩნდება.

ცალკე პრობლემაა წითელ-ყვითელი ბარათების გაუთავებელი ფრიალიც. მსაჯები ზუსტად ვერ აღიქვამენ სათამაშო ეპიზოდს, კონკრეტულ მომენტს საერთო წესებს ვერ უსადგებენ. ტყუილუბრალოდ გაძევებული არაერთი ფეხბურთელიც ნაადრევად მიემართებოდა გასახდელისკენ. ინგლისთან მეოთხედფინალურ მატჩში რონალდინიო ხომ უსამართლოდ გააძევეს. ბრაზილიელი ბურთთან გაცილებით ადრე მივიდა, ვიდრე მისი მეტოქე.

რაც შეეხება არასწორად დაფიქსირებულ თამაშგარე მდგომარეობებს, პასუხი შეიძლება ერთმნიშვნელოვანი იყოს — ყველა თანამსაჯმა, რომელსაც შეცდომა მოუვა, უბრალოდ, თავი დაიზღვია. პასის ან კარში დარტყმის მომენტში მათ შემტევი გუნდის მოთამაშეების პოზიციები დროულად ვერ დააფიქსირეს და უპირატესობა თავის დამცველ გუნდს მიანიჭეს.

პორტუგალია-კორეა. არგენტინელმა მსაჯმა ანხელ სანჩესმა პორტუგალიელი ჟოაო პინტუ გააძევა. მოგვიანებით პინტუმ სანჩესზე ხელი ასწია, რის გამოც ფეხბურთის თამაში აუკრძალეს.

ფერნანდო მორიენტესს უგანდელმა თანამსაჯმა ალი ტომუსანგემ კორეის კარში გოლი არ ჩაუთვალა

მექსიკელმა ფილიპე რამოს რისომ კადრს მიღმა დარჩენილი ფრანგი ტიერი ანრი თავიდანვე გააძევა

მეოთხედფინალში, გერმანელმა ტორსტენ ფრინგსმა ამერიკელთა დარტყმული ასე მოიგერია და დედის რძესავით შერჩა.

არჩათვლილი გოლები

ჯგუფური ტურნირი

A ჯგუფი	დანია	1:1 სენეგალი	იონ დალ ტომასონი (დანია)
C ჯგუფი	ბრაზილია	2:1 თურქეთი	რივალდო (ბრაზილია)
D ჯგუფი	პოლონეთი	3:1 აშშ	ლანდონ დონოვანი (აშშ)
E ჯგუფი	ირლანდია	1:1 კამერუნი	რობი კინი (ირლანდია)
E ჯგუფი	გერმანია	8:0 საუდეთი	კარსტენ იანკერი (გერმანია)
E ჯგუფი	კამერუნი	1:0 საუდეთი	სამუელ ეტოო (კამერუნი), პატრიკ მბომა (კამერუნი)
G ჯგუფი	იტალია	1:2 ხორვატია	კრისტიან ვიერი (იტალია), მარკო მატერაცი (იტალია)
G ჯგუფი	მექსიკა	2:1 ეკვადორი	ხერარდო ტორადო (მექსიკა)
G ჯგუფი	მექსიკა	1:1 იტალია	ფილიპო ინძაგი (იტალია), ვინჩენცო მონტელა (იტალია)

მერვედფინალი

შვედეთი	1:2დ.დ.	სენეგალი	ელ-ჰაჯი დიუფი (სენეგალი)
ბრაზილია	2:0	ბელგია	მარკ ვილმოტსი (ბელგია)
იტალია	1:2დ.დ.	ს. კორეა	დამიანო ტომაზი (იტალია)

მეოთხედფინალი

ესპანეთი	0:0 (პენ.3:5)	ს. კორეა	ივან ელგერა (ესპანეთი), ფერნანდო მორიენტესი (ესპანეთი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინ დაბრუნების უარესი ვარიანტები

მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატი სიამოვნებაა – დიდი სიამოვნება. თუმცა, არსებობს პონფლიქტების საფრთხე. ქვემოთ, საფეხბურთო „ცხელ წერტილებზე" და მწვრთნელ-ფეხბურთელთა ურთიერთობებზე გიამბობთ.

ვაჟა ხუციშვილი

კინი — მაკარტი

ჯერ კიდევ ჩემპიონატის დაწყებამდე ორი კვირით ადრე ირლანდიელთა ბანაკში სრული სიმშვიდე სუფევდა. შეიძლება ეს სიმშვიდე მოჩვენებითიც იყო, მაგრამ მიკ მაკარტიმ განაცხადა, როი კინის გამოჯობინებას მოუთმენლად ველიო. ირლანდიელებს ამხანაგური მატჩი უნდა ეთამაშათ. კინი მანამდე, ერთერთ შეხვედრაში მსუბუქად დაშავდა — ადრე ნატკენმა მუხლმა თავი შეახსენა.

მანჩესტერელი ფეხბურთელი სამ დღეში მართლაც გამოკეთდა. პრესის წარმომადგენლებთან ინტერვიუში მან თქვა: „იუნაიტედისთვის" სეზონი დასრულდა და წარუმატებლობა უნდა დავივიწყო, ახლა მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებას ვუცდი. მინდა მაქსიმალური სიამოვნება მივიღო. რაც წლები მემატება მით უფრო ვგრძნობ, რომ ასეთ მაღალ დონეზე თამაშის შანსები მცირდება. ეს ჩემთვის ბოლო ჩემპიონატი იქნება. ნაკრების მიზანი ჯგუფიდან გასვლაა. მჯერა, რომ მერვეფინალში ვითამაშებთ".

ოთხ დღეში, 22 მაისს, როი კინი უკვე სხვა ხმაზე აჭიკჭიკდა. ირლანდიელები აზიაში, კუნძულ საიპანზე ემზადებოდნენ და წყალიც იქ აიმღვრა. კინმა ირლანდიურ ტელეკომპანიას განუცხადა, პირადული მიზეზების გამო შინ დაბრუნებას ვაპირებო.

რა მოხდა კუნძულზე? ერთი რამ ცხადია — ფეხბურთელსა და მწვრთნელს შორის სიტყვიერი შელაპარაკების შემდეგ როი კინმა ნაკრები მიატოვა. მიკ მაკარტიმ მას კარისკენ მიმავალ გზაზე ხალიჩა დაუფინა. უცნაურია, ერთი კვირით ადრე მანჩესტერელი მკერდში მჯიღს იბაგუნებდა, ჩემი ირლანდია და ჩემი ბოლო მსოფლიოს ჩემპიონატიო, გაიძახოდა, გეგმებს აწყობდა, უცებ კი ადგა და მანჩესტერისკენ მოუსვა.

უკმაყოფილების მიზეზს კინი ასე განმარტავს: „მე, ირლანდიის ნაკრების კაპიტანი როი კინი, აქ (ჩემპიონატზე) იმისთვის ჩამოვედი, რომ გული მივცე გულისათვის. მსურს ბოლომდე დავიხარჯო საყვარელი საქმისთვის და თანაგუნდელებისაგანაც ამასვე ვითხოვ. ვნახე რა,

მიკ მაკარტის ცხოვრება და მწვრთნელობა როი კინის გარეშეც შეუძლია

REUTERS

როი კინს არც მაკარტი მოეწონა, არც მისი მწვრთნელობა და შინ თავაწეული დაბრუნდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ზოგ-ზოგიერთები საქმეს არასერიოზულად უდგებიან, ეს უკვე აღარ მოშწონს. რამდენიმე დღე ვუყურე და მივხვდი: ჩემს აქ ყოფნას აზრი არა აქვს — მთელი მიზეზიც ესაა. გარდა ამისა, შეხედეთ მინდორს, რომელზეც ვვარჯიშობთ. მერე კითხულობენ ხოლმე „რატომ დაშავდიო?“ შეუძლებელია, მსგავს პირობებში ტრავმა თავიდან აიცილო. ჩვენ აქ მოსამზადებლად ჩამოვედით, ორი ფეხბურთელი კი უკვე დაშავდა. ვითხოვდით მხოლოდ ნორმალურ მოედანს, სანაცვლოდ მივიღეთ ქვიანი ადგილი. დარწმუნებული ვარ, 32 გუნდიდან ყველაზე უარეს პირობებში ირლანდიის ნაკრები მოხვდა. რატომ? რადგან ირლანდიელები ვართ, მეტის იმედი არც უნდა გვქონდეს?“ — გაშწარებულმა კინმა ასეთი მონოლოგი გამოაცხო.

აქვე ერთი ძველი ამბავიც გავიხსენოთ: 1994 წლის ჩემპიონატზე, როცა ირლანდიის ნაკრების კაპიტანი მიკ მაკარტი იყო, მას და ახალგაზრდა როი კინს პატარა შეკამათება მოუვიდათ. მაკარტის გუნდის ჭკუის სწავლება დაუწყია, კინს კი უთქვამს, მოკეტეო. ასე რომ, მათი ურთიერთობა დიდი სიამტკბილობით არ გამოირჩეოდა.

მოკლედ, ფეხბურთელისა და ნაკრების გზები გაიყო, როი მანჩესტერში დაბრუნდა, გუნდმა კი იაპონიაში გადაინაცვლა.

ნეილ ქუინის კომენტარი: „როის მეგობრულად დავემშვიდობე და წარმატებები ვუსურვე, თუმცა მისგან მწარე სიტყვები მეც მერგო. ყველამ უნდა დავივიწყოთ ის, რაც მოხდა და ჩვენი ქვეყნისთვის ვითამაშოთ“.

კატეგორიული იყო ირლანდიელთა მეკარე ალან კელი, რომელმაც მაკარტის სრული სოლიდარობა გამოუცხადა: „კინმა ისეთი სიტყვებით შეამკო მწვრთნელი და, საერთოდ, ისე ცუდად მოიქცა, რომ მსგავსი რამ ჩემს დღეში არ მინახავს. ამის შემდეგ მასთან ლაპარაკის სურვილიც კი გამიქრა“.

განა რა უთხრა ასეთი ფეხბურთელმა მწვრთნელს? ეს იციან იმ ირლანდიელებმა, რომლებმაც საუბარი მოისმინეს, ჩვენ კი ისღა დაგვრჩენია ვიმარჩიელოთ.

შერისხული კაპიტანყოფილი ინგლისში, კლუშირში ჩავიდა და ის დღე ოჯახთან ერთად გაატარა.

პრესასთან ინტერვიუში მან აღიარა, რომ შეურაცხყო მიკ მაკარტი, მაგრამ დასძინა — არც ის არის ანგელოზიო: „რაც მოხდა, იმაში თავს დამნაშავედ არ მივიჩნევ. ჩავალ ირლანდიაში და თავაწეულიც გავივლი. რისი უნდა მცხვენოდეს? რა ბოდიშის მოხდა? სულაც არ მგონია, რომ ვინმეს უნდა მოვუბოდიშო, პირიქით, ზოგიერთებს ჩემთან აქვთ მოსაბოდიშებელი. გავიგე, პრემიერ-მინისტრი ჩვენი კონფლიქტის მოგვარებას ცდილობს, მაგრამ მისი ყველა მცდელობა უშედეგო იქნება. ნაკრებში დავბრუნდები მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მიკ მაკარტი თავის პოსტს დატოვებს. იმასაც ვეტყვით, რომ გუნდიდან ჩემი გაშვების შესახებ გამოქვეყნებული ინფორმაციების უმეტესობა მონაჩმახია. ტყუილია, თითქოს მე მაკარტისთვის მეთქვას, შენ ინგლისელი ხარ და არა ირლანდიელიო. რაც შეეხება ნაკრების მოსამზადებელ პერიოდს და პირობებს, ამასთან დაკავშირებით ჩემი გულისწყრომა სრულიად სამართლიანი იყო“.

შინ დაბრუნებულ როი კინს ალექს ფერგიუსონი შეეხმიანა, ეგებ გადაიფიქრო და გადაწყვეტილება შეცვალო: „ვწუხვარ, ასე რომ მოხდა — ამბობს იგი — მე ამ ამბის მხოლოდ ნაწილი ვიცი. აუცილებლად დავუკავშირდები მიკ მაკარტის და კონფლიქტის მიზეზებს დავაზუსტებ. რასაც გაზეთებში ვკითხულობ, გადაჭარბებულად მეჩვენება. როი უდიდესი ირლანდიელი ფეხბურთელია მათ შორის, ვისთანაც მიმუშავია.“

და მაინც, ყოველივე ამის შემდეგ ფეხბურთელს ნაკრებში დაბრუნების შანსი ჰქონდა. მიკ მაკარტიმ, თუ ბოდიშს მოიხდის, მივიღებო სთქვა: „ჩვენს შორის ახლა რამდენიმე ათასი კილომეტრია, მაგრამ არსებობს ტელეფონი. ნაკრების ინტერესებიდან გამომდინარე, მზად ვარ ყველაფერი ვაპატიო. გამოუვალი მდგომარეობა არ არსებობს“.



ზლატკო ზაჰოვიჩს ძველი და ახალი ცოდვები დაუთვალეს და ნაკრებიდან მოკვეთეს

სრეჩკო კატანეცს ზაჰოვიჩმა ხელებიც გაამლევინა და ცრემლიც ადინა

ამის პასუხად მოგვიანებით როი კინმა განაცხადა: „არა მგონია, რომ ნაკრებში ჩემი დაბრუნება ირლანდიას წაადგეს. ჭრილობას პირი უკვე გახსნილი აქვს და მისი შეხორცება ძნელი იქნება. მე ისღა დამრჩენია, ბიჭებს წარმატება ვუსურვო. ახლა, უბრალოდ, გულშემატკივარი ვარ“.

მომრიგებელმოსამართლეობა ნეილ ქუინმაც სცადა, ჯერ კიდევ მანამდე, სანამ კინი აზიიდან გაემგზავრებოდა: „მინდოდა როის ადვოკატთან მაიკლ კენედისთან მელაპარაკა, მაგრამ იგი ფეხბურთელთან ერთად წავიდა. ველოდით, რომ კინი სატელევიზიო ინტერვიუში მოიბოდიშებდა, თუმცა, როცა ვნახე, მივხვდი — ის არ დაბრუნდებოდა“.

მიკ მაკარტიმ კი თქვა: „ეს ბოდიშის მოხდას სულაც არ ჰგავდა, ამიტომ მისი დაბრუნება გამორიცხულია“.

ამაო გამოდგა ირლანდიის ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენელის ჯონ დელანის ჩასვლა იაპონიაში. დელანი მაიკლ კინედისთან ერთად მიკ მაკარტის ეწვია. შეხვედრაზე მწვრთნელი დაითანხმეს, რომ, თუ კინი საქციელს მოინანიებდა, მაკარტი მას გუნდში დაუბრუნებდა. „ჩვენ გავაკეთეთ —, რაც შეგვეძლო. როი კინს ერთადერთი რამ ეკალებოდა: დაერეკა მწვრთნელისთვის და პატიება ეთხოვა. მხოლოდ ერთი ზარი და ყველაფერი მოგვარდებოდა. მან ეს არ ისურვა“.

ნაკრები კაცნაკლული დარჩა. ფიფამ ირლანდიელებს ფეხბურთელის შეცვლის უფლება არ მისცა. მაკარტის გუნდს როი კინის „ჯოკერი“ ნამდვილად მოაკლდა, მაგრამ თავი მაინც არ შეურცხვენიათ. მეტიც, სამშობლოში დაბრუნებულებს გმირებივით დახვდნენ. თუმცა კინთან ერთად ნაკრები, შესაძლოა, მეოთხედფინალშიც გასულიყო.

რობერ ვასეჟი — ბელგიელი ჟურნალისტებისა და აჯანყებული ფეხბურთელების მსხვერპლი

ზაჰოვიჩი — კატანეცი

სლოვენია მსოფლიოს ჩემპიონატზე პირველად გაემგზავრა. თავისთავად ეს ფაქტი უკვე ბევრს ნიშნავს. ევროპის ჩემპიონატზე არცთუ ურიგო გამოსვლის შემდეგ სლოვენიელებს ჯგუფიდან გადწევის იმედიც ჰქონდათ, მაგრამ იმედი იმედადვე დარჩა, გუნდმა კი სამი მატჩი წააგო და სამშობლოში დაბრუნდა. ერთი ფეხბურთელი, ზლატკო ზაჰოვიჩი სხვებზე ადრე, პირველი მატჩის შემდეგ გაემგზავრა შინ.

საინტერესოა, რომ ზაჰოვიჩი უეფას ოფიციალური ვებგვერდისთვის დღიურებს წერდა. მისი ჩანაწერების დაწვრილებით მოყოლით თავს არ შეგაწყენთ — ძირითადად იქაურ ქალაქებზე, სასტუმროში ცხოვრებაზე და გუნდის მომზადებაზე ლაპარაკობს.

პირველი მატჩის წინ ზაჰოვიჩი უგუნებობას არ უჩიოდა და აღნიშნავდა, რომ ძველ ნაცნობთან, „ვალენსიელ“ ალბელდასთან მოუწევდა შეხვედრა.

ზაჰოვიჩის დღიური დაწყებიდან მეოთხე დღეს, ესპანელებთან შეხვედრის შემდეგ შეწყდა.

მატჩის 63-ე წუთზე, როცა ესპანელები 1:0-ს იგებდნენ, კატანეცმა ზაჰოვიჩი შეცვალა. ფეხბურთელის აზრით, იგი ურიგოდ არ თამაშობდა და არ უნდა შეეცვლათ. ამას იგი თავის დღიურებშიც აღნიშნავს. სლოვენიელები დამარცხდნენ, რასაც მატჩის შემდეგ გასახდელში კონფლიქტი მოჰყვა.

ზლატკო და სრეჩკო კინაღამ ხელიხელ შეიბნენ. თანაგუნდელები რომ არა, ალბათ ასეც მოხდებოდა. ეს პირველი სერია იყო, ამბები სასტუმროშიც გაგრძელდა.

სხვათა შორის, ზაჰოვიჩი მწვრთნელს ორი წლის წინაც „აუხტა“, რის შემდეგაც ნაკრებში აღარ იწვევდნენ. მერე დაშოშმინდნენ, ახლა კი კონფლიქტმა ახალი ძალით იფეთქა.

სრეჩკო კატანეცი ფეხბურთელის საქციელით შოკირებული იყო: „ასეთ მოპყრობას ვერ ავიტან, ჩემპიონატის შემდეგ თანამდებობას დავტოვებ“. მწვრთნელს ნერვიულობისგან ცრემლიც კი მოადგა თვალზე.

მოგვიანებით აჯანყებული ფეხბურთელი დაცხრა და ბოდიშიც მოიხადა, მაგრამ საქმეს ვეღარ უშველა.

ნაკრების პრესმდივანმა როკ შიკნოვეცმა განაცხადა: „ზლატკო ზაჰოვიჩი ნაკრების წევრი აღარ არის და მას შეუძლია შინისკენ გაემგზავროს“.

კატანეცს სოლიდარობა ფეხბურთელებმაც გამოუცხადეს, თუმცა ზაჰოვიჩის ჩამოშორებამ გუნდი, ირლანდიელებისგან განსხვავებით, ვერ შეკრა. ასე დაადგა სლოვენიელი ფეხბურთელი როი კინის გზას, სრეჩკო კატანეცმა კი დანაპირები აასრულა და თანამდებობა დატოვა.

შენოლ გიუნეშს თაიფუნი სამშობლოდან დაეშუქრა

თურქული

მეტად ორიგინალურ, მაგრამ სახიფათო ხერხს მიმართა შენოლ გიუნეშმა.

ჩემპიონატის დაწყებამდე თურქეთის ნაკრები ჰონგკონგში დაბინავდა. მწვრთნელმა 23-ის ნაცვლად 27 ფეხბურთელი წაიყვანა. ცხადია და ყველამ იცოდა, რომ ოთხი ზედმეტი იყო. ისეთ მოთამაშეებს, როგორებიც ჰაქან შუქური და რუშთუ რეჩბერი არიან, რა თქმა უნდა, ადგილი გარანტირებული ჰქონდათ. გიუნეშმა 23 მოთამაშის ვინაობა ბოლო წამამდე არ გამოაცხადა, რამაც ზოგიერთი ფეხბურთელი ძალიან ანერვიულა. საბოლოოდ მწვრთნელმა ზედმეტი ოთხი მოთამაშის გვარი გაამხილა. სამს მაინცდამაინც დიდი პროტესტი არ გამოუხატავს, სოსიედადელმა თაიფუნ ქორქუთმა კი ცოფი ყარა, სხვებზე ნაკლები რით ვარო. მწვრთნელმა აუხსნა, აქ სან-სებასტიანი არ არის და ეს მსოფლიოს ჩემპიონატიაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თურქეთში დაბრუნებულმა თაიფუნმა გიუნეშს მუქარა შეუთვალა — ამ დაცინვას არასოდეს გაპატიებო. საინტერესოა, რას უპირებს ფეხბურთელი მწვრთნელს?

პირიქით

თუ ზემოთ აღწერილ ამბებში ფეხბურთელები მიემგზავრებოდნენ შინ, ბელგიის ნაკრებში კინაღამ პირიქით მოხდა: ბელგიელი ჟურნალისტები ტუნისთან ფრედ ჩატარებული მატჩის შემდეგ რობერ ვასეჟის დაუყოვნებლივ გადაყენებას ითხოვდნენ.

ვასეჟი ვალონიელია და ფრანგულად ლაპარაკობს. ფლანდრიელი ჟურნალისტები ვალონიელ მწვრთნელებს აკრიტიკებენ, ვალონიელები კი — ფლანდრიელებს. ეს ერთგვარ სპორტულ შეჯიბრებად იქცა ბელგიაში. ასე იყო გი ტისის და ჟორჟ ლიკენსის დროსაც.

რუსეთთან გადამწყვეტი მატჩის წინ ერთ-ერთი ბელგიური გაზეთი წერდა: „ფეხბურთელებს ყელში ამოუვიდათ რობერ ვასეჟის დიქტატურა. რუსეთთან გამარჯვების საუკეთესო საშუალება ჩვენ ვიცით — მწვრთნელი პირველივე რეისით შინ უნდა გაემგზავროს“.

გაზეთმა მისი შემცვლელიც დაასახელა — ფლანდრიელი რენე დეზაიერი. ივი უმუშევარი გახლდათ და იაპონიაში ნაკრებთან ერთად ჩავიდა. დაჰყვებოდა თურმე თანამემამულე ჟურნალისტებს და ლუდს წრუპავდა.რამ განარისხა ბელგიური მასმედია?

აი, ამონარიდი ფლანდრიული გაზეთიდან: „თუ გინდა, იტირე, მაგრამ, სანამ ვასეჟი ნაკრების სათავეშია, არაფერი გვეშველება. გაუგებარია, რატომ შეცვალა მწვრთნელმა ჯეკ პეტერსი ერიკ დეფლანდრით. პეტერსმა ხომ იაპონიასთან ბრწყინვალედ ითამაშა. ბევრ ბელგიელ გულშემატკივარს გული შეუწუხდა, როცა ბრანკო სტრუპარი ძირითად შემადგენლობაში დაინახა. სტრუპარის არსებობა ხომ თითქმის აღარავის ახსოვდა“.

მოკლედ, რობერ ვასეჟი გირაგში მოაყოლეს და ყველა მხრიდან ჩხვლეტდნენ. გარდა ამისა, მბო მპენზა და ველსლი სონკი ჟურნალისტებთან ჩიოდნენ, ვერ გავიგეთ, მწვრთნელი რას გვერჩის, ძირითადში რატომ არ გვათამაშებსო.

ციტატებს ბელგიური გაზეთებიდან თავად მწვრთნელიც ეცნობოდა და გულმოკლული დაიარებოდა.

სკანდალმა პიკს მაშინ მიაღწია, როცა ბელგიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა იან პეტერსმა მწვრთნელებს და ფეხბურთელებს მასმედიასთან ურთიერთობა აუკრძალა. დემოკრატიის პრინციპები ირღვევაო, ერთი ამბავი ატეხეს ჟურნალისტებმა.

ერთი სიტყვით, ჩემპიონატი რობერ ვასეჟისთვის კოშმარად იქცა. ცხადია, ბრაზილიასთან მატჩის შემდეგ მან თავისი პოსტი მიატოვა და ახლა მშვიდად ისვენებს.

იომოს სიჩუმე

მწვრთნელ-ფეხბურთელთა უცნაური დამოკიდებულების მაგალითი აჩვენა სამხრეთაფრიკელმა იომო სონომ.

სონო თავიდანვე აცხადებდა, მერვედფინალში თუ ვერ გავედით, ტრაგედია სულაც არ იქნებაო.

ბედმა აფრიკელებს შანსი მისცა, როცა ესპანელებთან ბოლო შეხვედრაში ჯგუფიდან გასაღწევად მხოლოდ ქულა სჭირდებოდათ.

პარალელურად მიმდინარე მატჩში პარაგვაი სლოვენიას ეჯიბრებოდა. პარაგვაელებმა 84-ე წუთზე მესამე გოლი რომ გაიტანეს, აფრიკელებს გასათანაბრებლად უნდა შეეტიათ, რათა თავი მერვედფინალში დაეგულებინათ. ამ მომენტისთვის ისინი ესპანელებთან 2:3-ს აგებდნენ. რა მოხდა ამ დროს? „ბაფან ბაფანა“ მშვიდად დასცინებდა ბურთს საფინალო სასტვენამდე. იომო სონომ რატომღაც გადაწყვიტა, ფეხბურთელებისთვის პარალელური მატჩის შედეგის შესახებ არაფერი ეთქვა. მატჩის შემდეგ, გასახდელისკენ მიმავალი აფრიკელები ერთმანეთს და მწვრთნელს ეკითხებოდნენ, გავედით თუ არაო.

იომო სონომ პრესკონფერენციაზე თქვა: „არ მინდოდა ჩემს ბიჭებს პარალელური მატჩის ანგარიში სცოდნოდათ. 10 წუთით ადრე რომ გაეგოთ —, პარაგვაი 3:1-ს იგებსო, ხომ დაითრგუნებოდნენ“.

თუმცა, არც ისე ყოფილა, როგორც სონო ფიქრობდა. აფრიკელმა ჯორჯ კუმანტარაკისმა თამაშის მსვლელობისას მაინც შეიტყო, რაღაც არასასურველი რომ ხდებოდა, ყური მოჰკრა შემახილს, კიდევ ერთი გოლი გვჭირდებაო, მაგრამ დაზუსტებით ვერაფერი გაარკვია.

გასახდელში ჩასულ საცოდავ ბენი მაკარტის ტელევიზორში უნახავს პარაგვაელთა მესამე გოლი და მიმხვდარა — ყველაფერი დამთავრებულაო. არავინ იცის, სამხრეთაფრიკელებს რომ შეეტიათ გაიტანდნენ თუ არა მესამე გოლს, მაგრამ იომო სონოს ალბათ უნდა ეცადა. სონომ ჩუმად ომი არჩია და დამარცხდა.

სონოს წინამორბედმა მწვრთნელმა, მოზამბიკელმა კარლოს კეირუშმა ეს მარცხი სიმართლის ზეიმად აღიქვა, იმიტომ რომ, როგორც მან განაცხადა, თავადაც იომო სონოს ინტრიგების მსხვერპლი გამხდარა.

იომო სონომ სიჩუმე არჩია და მსოფლიოს ჩემპიონატსაც გამოემშვიდობა

REUTERS

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრაზილია 2002. დგანან: ლუსიო, ედმილსონი, ჟილბერტო სილვა, როკე ჟუნიორი, მარკოსი, კაფუ.
სხედან: რონალდინიო, რონალდო, რობერტო კარლოსი, ჟუნინიო, რივალდო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ORDEM E PROGRESSO!

სოლომონ გულისაშვილი

REUTERS

რონალდო ფეხბურთის ისევ მსოფლიოს საუკეთესო თავდამსხმელად დაუბრუნდა

როცა იტალიელმა მსაჯმა პიერლუიჯი კოლინამ საფინალოდ ჩასტვინა, ბრაზილიაში დაახლოებით დილის 10 საათი იყო. კვირადღე გახლდათ და გულშემატკივრებს მეორე დილამდე შეეძლოთ ცეკვა-თამაში. რიოში, კოპაკაბანას პლაჟზე ვერ ნახავდით მობანავეებსა და მზეს მიფიცხებულთ, სან პაულუს მთავარ პროსპექტ „ავენიდა პაულისტაზე" კი მოძრაობა გადაეკეტათ, ქუჩებში ხალხი აღარ ეტეოდა, ყველას ყვითელ-მწვანე სამოსი ჩაეცვა და თავისიანთა მეხუთედ მსოფლიოს ჩემპიონობას ზეიმობდა. ქვეყანაში, სადაც ეკონომიკური კრიზისის გამო უამრავი ადამიანი უმუშევარი დარჩა, ცოტა ხნით გაჭირვება დაივიწყეს და გაერთიანდნენ, ბრაზილია ბედნიერობდა...

მერე იყო ეროვნული გმირების სამშობლოში დაბრუნება. ქვეყნის პრეზიდენტ კარდოზოსთან შეხვედრა და იმათებური ღირსების ორდენების გადაცემა. ჩაფრენისას სამხედრო თვითმფრინავების ესკორტი, ცაში გამოსახული სიტყვა „პენტა" და სიხარულისგან გადარეული ადამიანების ზღვა...

Ordem e progresso (წესრიგი და პროგრესი) აწერია ბრაზილიის დროშას და ეს დევიზი ზუსტად ესადაგება ბრაზილიის წლევანდელ ნაკრებს. გუნდს, რომელსაც შესარჩევი ციკლისას დიდი თუ პატარა აგინებდა და რომელიც ძლივს მოხვდა მსოფლიოს ჩემპიონატზე. ეგებ ბრაზილია დღეს ისე ლამაზად აღარ თამაშობს, როგორც პელესა და გარინჩას, ან ზიკოსა და ფალკაოს დროს, მაგრამ ბრაზილია დღესაც უმაღლესი კლასის გუნდია და ჩემპიონიც ღირსეულად გახდა.

ლუიშ ფელიპე სკოლარიმ თავისი მაინც დაამტკიცა

REUTERS

ბოლო წლებში ბევრი რამ შეიცვალა. ვთქვათ, ურუგვაელები ანტიკურობას შეიძლება შევადაროთ. ისინი ფეხბურთის ძველი ბერძნები არიან, თუმცა აღარარსებულ ცივილიზაციას ხომ მარადიული ტრადიცია მაინც ახლავს. ამერიკის, კორეის და იაპონიის სტილს ტექნოლოგიური ფეხბურთი შეიძლება ვუწოდოთ, რომელსაც ლამის კომპიუტერზე გამოთვლილი სქემებით ნასწავლი საშუალო მოთამაშეები ქმნიან. ბრაზილიელები კი იყვნენ და არიან ღმერთისგან ფეხბურთელები. იციან ეს თამაში და...

Jogo bonito — ასე უწოდებენ ბრაზილიაში ლამაზ ფეხბურთს, რომელიც თითქოს ნელ-ნელა კვდება, მაგრამ აი, რას ამბობს ლეგენდარული ტოსტაო, 1970 წლის მსოფლიოს ჩემპიონი, ვინც კორეა-იაპონიაში რეპორტიორად მუშაობდა: „მიკვირს, როცა ლამაზი ფეხბურთის სიკვდილზე და პრაქტიკული თამაშის ზეობაზე ლაპარაკობენ. ბრაზილიაში ამჟამადაც უამრავი უმაღლესი კლასის ფეხბურთელია, რომლებიც ძველებზე არანაკლები შემსრულებლები არიან. მართალია, დღევანდელი ფეხბურთი სულ სხვაა, სისწრაფე წარმოუდგენლად გაიზარდა, ხოლო გუნდური ურთიერთშეთანხმება ლამის იდეალურს მიუახლოვდა, მაგრამ ეს არ ნიშნავს ტექნიკისა

ჩემპიონატის აღმოჩენა რონალდინიო — რონალდო დე ასის მორეირა

REUTERS

PENTACAMPEAO!

ეროვნული ბიბლიოთეკა

და არტისტიზმის დაკარგვას. ლამაზი ფეხბურთი დღესაც არის, უბრალოდ მას სხვა ჩარჩოებში მოქცეულს ვხედავთ".

ლუიშ ფელიპე სკოლარი, იგივე „ფელიპაო", ანუ დიდი ფილი, იგივე „სერჟანტი" და „ვირი". ამ 53 წლის კაცს მეტსახელები ბევრი აქვს და ბოლო დრომდე მხოლოდ საკლუბო მუშაობით ვიცნობდით. მას ევროპული — ათლეტური და დაცვაზე ორიენტირებული ყაიდის მიმდევრად მიიჩნევენ. თავის დროზე „გრემიოსა" და „პალმეირასთან" ერთად ლიბერტადორესის თასიც მოუგია და არც იმ „ეშმაკობებს" მორიდებია ბინძურ შიდაბრაზილიურ ფეხბურთში რომ გამეფებულა. მინდვრის კიდესთან დადგმულ მიკროფონებს არა ერთხელ გაუძლიერებიათ მისი ფეხბურთელებისადმი მოწოდებები, მოწინააღმდეგეს ფეხებში ურტყითო. უღიარებია კიდეც, ისეთ მოთამაშეს, რომელიც გაუმართლებლად ცოტაჯერ ჯარიმდება, საგანგებოდ ვსჯიო. „ამას საჯაროდ ვაცხადებ და მერე იდიოტს ვემსგავსები, იმიტომ, რომ მართალს ვამბობ. სხვები კი იმავეს აკეთებენ, მაგრამ ტყუიან და მამა აბრამის ბატკნებად სურთ თავის გამოჩენა" — ცხარობს „სერჟანტი".

როცა პროვინციიდან მოსული კაცი შარშან ნაკრების მწვრთნელად დანიშნეს, ერთი ამბავი ატყდა, ისედაც გასაცოდავებულ ნაკრებს სულ მთლად ბოლოს მოუღებსო, მაგრამ პირიქით კი მოხდა. თურმე „დიდ ფილს" დიდი ფეხბურთელები სჭირდებოდა საკუთარი ფილოსოფიისთვის რომ ფრთები შეესხა. მაშინ ამბობდნენ: ბრაზილიამ ისევ წაგო და ეს ჩვეულებრივი ამბავი ხდება. ჩვენი აღარავის ეშინია, ვენესუელასაც კი. გვითხარით, გაგვაგებინეთ რა ხდებაო. დღეს კი: დიდებულია, ჩვენ ისევ ჩემპიონები და ამ განსაკუთრებული წარმატებით გამოწვეული ერთობის მოწმენი ვართ. ეს მთელი ქვეყნისთვის კარგი მაგალითია. ბრაზილიური სული აღორძინდა. მადლობა ფეხბურთელებს.

წარმოგიდგენიათ რა მოხდებოდა ბრაზილიაში, როცა სკოლარიმ მუნდიალზე რომარიო, ზე რობერტო, ელბერი, ჟარდელი და ამოროზო არ წაიყვანა? მაგრამ თავის დროზე ფრანგი ემე ჟაკეს ახირებისა არ იყოს, „სერჟანტიც" მართალი გამოდგა, ნაკრებს „ოჯახს" ეძახდა და შიდაურთიერთობაც ისეთი სურდა, ოჯახის უფროსს რომ აკმაყოფილებს.

კორეა-იაპონიაში ბრაზილიამ რაციონალური, გუნდური ფეხბურთი ითამაშა. ხშირად მოწინააღმდეგეს ტერიტორიასაც კი უთმობდა და კონტრშეტევებს ამჯობინებდა, რაც ბრაზილიელთათვის ზოგადად წარმოუდგენელია. ისინი ტაქტიკური განსწავლულობითაც გამოირჩეოდნენ და თუ ევროპაში მოთამაშე ბრაზილიელთაგან ეს გასაკვირი არ იყო, რა ვთქვათ ჟილბერტო სილვასა და კლებერსონზე, რომლებიც არეულ-დარეულ მშობლიურ ჩემპიონატში ცოდვილობენ, ერთი „ატლეტიკო მინეიროში", მეორე „ატლეტიკო პარანენსეში". ეს ორნიც კი საოცარი დისციპლინითა და ევროპულობით იწონებდნენ თავს, ხისტად თამაშობდნენ დაცვაში, მეტოქეს ყურადღებით დარაჯობდნენ და გადაწყვეტილების მისაღებად წამსაც არ უტოვებდნენ. აკი ტოსტაოც ამბობს, შესაძლოა, ჟილბერტო სილვა დუნგასავით ეფექტურად ვერ ირჯება, მაგრამ საყრდენი ნახევარმცველისთვის ეს მთავარი სულაც არ არის, მთავარია რა სარგებელი მოაქვს გუნდისთვისო. კაფუზე, ლუსიოზე და რობერტო კარლოსზე ლაპარაკი, ალბათ, ზედმეტიცაა.

და კიდევ, ბრაზილიელებს სხვებისგან განსხვავებით ჰყავდათ რო-რი-რო:

რონალდო, რომლის ამ ტურნირზე თამაში გმირობის ტოლფასია. ტრავმის გამო ლამის ორი წელი არ ეთამაშა და მინდორზე კვლავ მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელად დაბრუნდა. ეგებ ცოტა მოუხეშავი გახდა, მაგრამ სიბრძნე მოემატა და გოლის ალღოც ძველებურად შერჩენია. თანაც ყველა მისი გოლი უმნიშვნელოვანესი იყო ბრაზილიელთათვის. ისიც გავიხსენოთ, რომ 1974 წლის მერე მსოფლიოს ჩემპიონატებზე ერთ ფეხბურთელს 6 ბურთზე მეტი არ გაუტანია, რონალდომ კი 8 შეაგდო, ჯამში 12 მოუგროვდა და ლეგენდარულ პელეს გაუთანაბრდა. ახლა მუნდიალებზე მასზე მეტი მხოლოდ ფრანგ ჟიუსტ ფონტენს (13) და გერმანელ გერდ მიულერს (14) აქვთ გატანილი. თუ ჯანზე იქნა, რონალდო ალბათ მომავალ მსოფლიოს ჩემპიონატზეც ითამაშებს და რეკორდსაც წინ რაღა დაუდგება.

რივალდო, კაცი, რომელსაც თურქებთან პირველ მატჩში სიმულაციისთვის მთელი მსოფლიო უსტვენდა. მთლად თავისებურ ფორმაში ვერ იყო, მაგრამ გუნდისთვის ძალიან სასარგებლოდ იღვწოდა. ბელგიასთან მერვედფინალში გადამწყვეტი, ხოლო ინგლისთან მეოთხედფინალში დიდებული გოლები შეაგდო. ფინალშიც რონალდოს ორივე გოლში მისი წვლილი ერია. სკოლარიმაც ხომ თქვა, გამარჯვებაში ყველაზე დიდი დამსახურება რივალდოს მიუძღვის, ის თითქმის ყველა ჩვენ შეტევის სულისჩამდგმელი იყო.

რონალდინიო, ჩემპიონატის აღმოჩენა. ნაღდი თანამედროვე ნახევარმცველ-თავდამსხმელი. უფროს რონალდოს ხშირ შემთხვევაში ჩინებულ ასისტენტობას უწევდა. ინგლისთან ხომ სულაც სასწაულები მოახდინა, ჯერ ულამაზესი დრიბლინგით ნახევარი მინდორი გადაირბინა და რივალდოს გაატანინა, მერე კი თავად შეაგდო ისეთი ჯარიმა, ჩემპიონატის ერთ-ერთ მშვენებად რომ იქცა.

ბოლოს კი ისევ ტოსტაოს მოვუსმინოთ: „შარშან ამბობდნენ ბრაზილიას ნაკრები აღარ ჰყავსო, მაგრამ სამსოფლიოსჩემპიონატოდ ვითარება შეიცვალა. სკოლარიმ შეძლო და ნამდვილი გუნდი ჩამოაყალიბა. თუ მას 1994 წლის ჩემპიონთა მწვრთნელ კარლოს ალბერტო პარეირას შევადარებთ, მივხვდებით, რომ ფეხბურთისადმი მიდგომაში ისინი გვანან ერთმანეთს, მაგრამ პარეირა ნაღდი პრაგმატიკოსია, სკოლარი კი უფრო ემოციური და საინტერესოა როგორც ფიგურა. ალბათ ამიტომაც, დღევანდელი ნაკრები უფრო მზადაა ლამაზად ითამაშოს, ვიდრე მაშინდელი".

REUTERS

REUTERS



REUTERS

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯის გააქეს გოლი საკუთარ კარში?

გახსოვთ, კოსტა რიკისა და ბრაზილიის ნაკრები გუნდების შეხვედრა? იქ ერთი ასეთი მომენტი იყო: კოსტარიკელთა კართან მარცხნიდან ჩაწოდებულ ბურთს პირველები რონალდო და მცველი ლუის მარინი გაეკიდნენ. რონალდომ ყველაფერი ისე გააკეთა, თავდამსხმელები გოლის გატანის დროს რომ აკეთებენ, მაგრამ ფეხბურთი სწრაფი თამაშია, ბურთი კი დიდი ოხერი რამ გახლავთ. ერთი სიტყვით, როგორც კარს უკან დაყენებული კამერით გადაღებულმა კადრმა გვაჩვენა, ბურთი ბოლო წამს მარინის ფეხს შეხებია და კარში გასულა. თავიდან ოქმშიც ასე ჩაიწერა — ავტოგოლი, მაგრამ თამაშის შემდეგ რონალდომ ფიფას საჩივარი აახლა, ფიფამაც კასეტა გადაახვია-გადმოახვია, დაფიქრდა და ოქმი გადააკეთა.

საბოლოოდ რონალდომ ჩემპიონატი 8 გოლით დაასრულა, ჩვენ კი საფიქრალი დაგვიტოვა: რა არის, ბოლოს და ბოლოს, ეს ავტოგოლი?

პაპუნა კედია

დავიწყოთ ფეხბურთის წესებით. წესი ნომერი ათი ასეთია: „გოლი ეწოდება მდგომარეობას, როდესაც ბურთი კარის ძელებს შორის და ხარიხას ქვეშ გავლებულ ხაზს მთლიანად კვეთს. ამასთან ის არ უნდა იყოს შემტევი გუნდის მოთამაშის მიერ ხელით ან მკლავით დარტყმული. ერთადერთი, ვისაც ბურთი შეიძლება ხელზე შეეხოს, საკუთარ საჯარიმოში მყოფი მეკარეა“.

აი, ასე! „შემტევი გუდნის მოთამაშის მიერ“. და რა ხდება, როდესაც ბურთს ძელებს შორის და ხარიხის ქვეშ გავლებულ ხაზს შემტევი კი არა, დამცველი გუნდის მოთამაშე გადააკვეთინებს? ამაზე მეათე წესში არაფერი წერია.

ნუთუ ამ შემთხვევაში გოლი არ უნდა ჩაითვალოს? როგორ არა, მაგრამ განმარტებას კანონების ნუსხაში ვერ ვიპოვით. ტყუილად არც უნდა ვეძებოთ. ჩვენ, ყველანი, უბრალოდ, ვგრძნობთ და ვხედავთ, რომ საკუთარ კარში ნებით თუ უნებლიეთ შეგდებული ბურთი ჩვეულებრივი გოლია.

ბერტი ფოგთსი (№2) ამ, 24 წლის წინანდელ ამბავს დღემდე სინანულით იგონებს

REUTERS

პარაგვაელმა ესტანისლაო სტრუვაიმ (№ 6) სამხრეთ აფრიკასთან შეხვედრაში თავი ავტოგოლით გამოიჩინა

კეთილი და პატიოსანი, მაგრამ ვინ არის ასეთ გოლზე პასუხისმგებელი? სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ვინ არის მისი ავტორი — ის საცოდავი მცველი, რომელსაც გამოქანებული ბურთი, შესაძლოა, შემთხვევით შეეხო და ხაზი გადაკვეთა? ხედავთ, რა ხდება: რაც ფეხბურთი არსებობს, არიან სტატისტიკოსებიც, რომლებიც ყველაფერს და, უპირველეს ყოვლისა, გოლებს ითვლიან. ისინი აღრიცხავენ, რომელ თავდამსხმელს რამდენი აქვს გატანილი, მაგრამ როგორ უნდა მოიქცნენ იმ სრულიად უცნაურ და ალეგიკურ სიტუაციებში, როდესაც ბურთი დამცველი გუნდის ფეხბურთელს ხვდება და კარში გადის? ვინ იცის, რამდენი ასეთი გოლია მიწერილი ამა თუ იმ ბომბარდირის გვარის გასწვრივ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში, თუმცა, მეორე მხრივ აბა, ვისთვის უნდა მიეწერათ?

დღეს, როდესაც ფეხბურთში მილიონები ტრიალებს, შესაძლოა ბევრი რამ, მათ შორის ამა თუ იმ სპონსორის მიერ დაწესებული პრემიის ბედიც ერთმა გოლმა გადაწყვიტოს. ვთქვათ, ერთმა თავდამსხმელმა გაიტანა 17, მეორემ — 18 და პრემიაც მეორეს ეძლევა, თუმცა ამ ერთი გოლის გატანაში მას მეტოქის სხეულიდან ასხლეტილი და მიმართულებაშეცვლილი ბურთი დაეხმარა. უსამართლობაა თუ...

აქ უნდა ითქვას, რომ იტალიელებმა ყველაფერი მკაცრად განსაზღვრეს: თავდამსხმელმა საოცრება რომ ჩაიდინოს, ვთქვათ, მოწინააღმდეგის მთელი გუნდი მოატყუოს, ბოლოს კი მისი დარტყმული ბურთი ოდნავ შეეხოს მცველს და კარში ისე შევიდეს, გოლის ავტორად მას არ ჩაწერენ. ერთი სიტყვით, მათ ავტოგოლის ცნება შემოიღეს, მაგრამ იტალია ხომ მთელი მსოფლიო არ არის.

ეროვნული ბიბლიოთეკა



№ 1



№ 2

„გერმანიის ნაკრებში 96-ჯერ ვითამაშე, მაგრამ გოლი მხოლოდ ორჯერ გავიტანე — ერთხელ მეტოქის, მალტის, ერთხელ კი საკუთარ კარში. მაშინ ავსტრიამ 3:2 მოგვიგო. დღესაც ცხადად მახსოვს, ჩამოწოდებულ ბურთს ზეპ მაიერი ვერ მისწვდა, ბურთი მუხლში მომხვდა და ბადეში შევარდა. ისე, კლასიკური გაგებით, საკუთარ კარში გოლის გატანა სხვა რამეს უნდა ეწოდებოდეს, მაგრამ მაშინ ზუსტად უნდა ვიცოდეთ, რას და როგორ, თორემ როდესაც ჩემი გვარის გასწვრივ შედეგების ცხრილში „ავტოგოლს“ ვკითხულობ, ხმასაც ვერ ვიღებ. თავიდან, კარგა ხნის განმავლობაში ვცოფდებოდი, ბოლო ხანს კი მეცინება. ხომ იცით, ავსტრიელებს ჩვენთვის, გერმანელებისთვის, მანამდე მთელი 47 წელიწადი არ მოეგოთ და მაინცდამაინც ჩემს გამო დაგვამარცხეს. რა საჩუქარი მივართვი! არადა, სხვა გზა არ მქონდა, იქ, იმ ვითარებაში განწირული ვიყავი — ბურთი საკუთარ კარში უნდა შემეგდო“, — ამბობს ფეხბურთის ცნობილი მოღვაწე ბერტი ფოგთსი, როდესაც 1978 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ამბებს ახსენებენ.

სრულიად განსხვავებული ვითარება იყო 1994 წელს, როდესაც აშშ — კოლუმბიის შეხვედრაში კოლუმბიელმა მცველმა ანდრეს ესკობარმა ბურთი თავის კარში შეაგდო. ესკობარი მაშინ ბურთს მეკარეს აწვდიდა — თითქოს მდგომარეობის განმუხტვის მიზნით, მაგრამ მომენტი ვერ შეაფასა და... სამშობლოში დაბრუნებული სიცოცხლეს გამოასალმეს. ამბობენ, სწორედ ამ შეცდომის გამოო.

ახლა კი რამდენიმე ტიპური შემთხვევა განვიხილოთ და ვნახოთ, ჩვეულებრივ როგორ აფასებენ ასეთ მომენტებს მსაჯები.

1. მცველი მეკარის ან რომელიმე თანაგუნდელის მიერ კარიდან დარტყმულ ბურთს ვერ იმორჩილებს ან სულაც მოახლოებული მეტოქის შიშით მის დაბრუნებას ცდილობს და ცდება — ბურთი კარის ხაზს კვეთს.

დასკვნა: ეს არის გოლი საკუთარ კარში.



№ 3, ა



№ 4, 5, 6

№ 3, ბ

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. ერთი თავდამსხმელი ცდილობს ბურთი მეორეს გადააწოდოს. მცველი პასს ჭრის, ოღონდ ბურთს ვერ იმორჩილებს და ის მისი კარის ხაზს კვეთს.

დასკვნა: ეს არის გოლი საკუთარ კარში.

3. თავდამსხმელი ბურთს კარისკენ არტყამს; მცველს ხვდება (ან მცველი ბურთს ეღობება) და ასხლეტილი, კარის ხაზს კვეთს.

აქ, შესაძლოა, იყოს ორი შემთხვევა: ა) თავდამსხმელის დარტყმული ბურთი ისედაც სწორად მიფრინავდა მეტოქის კარისკენ (შევარდებოდა თუ არა, არავინ იცის) და ბ) — თავდამსხმელი აშკარად შეცდომით არტყამდა და გოლი მხოლოდ მცველის უადგილო აქტიურობას მოჰყვა.

პირველ შემთხვევაში გოლს თავდამსხმელს მიაწერენ, მეორეში კი... დავობენ, მაგრამ გოლი ხშირად მაინც თავდამსხმელს ეწერება.

დასკვნა: ეს არ არის გოლი საკუთარ კარში.

4. თავდამსხმელი ბურთს კარისკენ არტყამს. ბურთი ხვდება ძელს, იქიდან ასხლეტილი კი — მცველს და კარის ხაზს კვეთს.

დასკვნა: ეს არის გოლი საკუთარ კარში.

5. იგივე ვითარებაა, ოღონდ ბურთი მცველს კი არ ხვდება, მცველი ცდილობს ბურთი კუთხურზე ან სადმე სხვაგან გადააგდოს და კარში ეჭრება.

დასკვნა: ეს არის გოლი საკუთარ კარში

6. იგივე სიტუაციაა, ოღონდ ბურთი ძელიდან ასხლეტის შემდეგ წაქცეულ მეკარეს ან მცველს ხვდება და კარის ხაზს კვეთს.

დასკვნა: ეს არ არის გოლი საკუთარ კარში.

7. მცველი ბურთს საკუთარი კარიდან მოედნის სიღრმისკენ არტყამს, ოღონდ ბურთი თანაგუნდელს (ვთქვათ, მობრუნებულს) ხვდება, ბრუნდება და კარში გადის.

დასკვნა: ეს არის გოლი საკუთარ კარში, ოღონდ იგი მიეწერება დამრტყმელ მცველს და არა იმას, ვისაც შემთხვევით მოხვდა.

თუმცა, ვინაიდან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ასეთი შემთხვევებისთვის მკაფიო წესი არ არსებობს, ის, რაც ახლა ჩამოვთვალეთ, მხოლოდ პირობითობაა, რომელიც გამოცდილებამ მოიტანა და დაამკვიდრა. საბოლოო დასკვნები (ასევე გამოცდილებაზე დაყრდნობით გაკეთებული) ასეთია:

ა) „გოლი საკუთარ კარში“ არსებობს.

№ 7

ბ) მსაჯმა, თუნდაც ეს მისი უშუალო მოვალეობა არ იყოს, უნდა გადაწყვიტოს, ვინ არის გოლის ავტორი და ამის შესახებ, თუ საჭიროა, ორივე გუნდის ფეხბურთელებს უნდა ჰკითხოს.

გ) მცველი, რომელსაც მის კარში შევარდნილი ბურთი ბოლოს მოხვდა, ყოველთვის არ არის საკუთარ კარში გატანილი გოლის ავტორი.

დ) თავდამსხმელი, რომელსაც ასეთი გოლი მიეწერება, თანაგუნდელთაგან ბოლო უნდა იყოს, ვისაც ბურთი შეეხო.

პორტუგალიელი ჟორჟე კოშტა (№2) ამერიკელებს საკუთარ კარში გატანილი გოლით გაუმასპინძლდა

REUTERS

კარლეს პუიოლს (№5) პარაგვაისთან შეხვედრაში მხარი ეცვალა

მსოფლიოს ჩემპიონატების ავტოგოლები

წელი	რაოდენობა	თამაში	ავტორი	ანგარიში
1938	1	შვეიცარია — გერმანია	ლორჩერი (შვეიცარია)	4:2
1954	5	ავსტრია — ურუგვაი	კრუსი (ურუგვაი)	3:1
		ავსტრია — შვეიცარია	ჰანაპი (ავსტრია)	7:5
		გფრ — იუგოსლავია	ჰორვატი (გერმანია)	2:0
		ინგლისი — ბელგია	დიკინსონი (ინგლისი)	4:4 დ.დ.
		საფრანგეთი — მექსიკა	კარდენასი (მექსიკა)	3:2
1958	1	უნგრეთი — მექსიკა	გონსალესი (მექსიკა)	4:0
1966	2	უნგრეთი — ბულგარეთი	დავიდოვი (ბულგარეთი)	3:1
		პორტუგალია — ბულგარეთი	ვუცოვი (ბულგარეთი)	3:0
1974	3	არგენტინა — იტალია	პერფუმო (არგენტინა)	1:1
		ჰოლანდია — ბულგარეთი	კროლი (ჰოლანდია)	4:1
		გდრ — ავსტრალია	კურანი (ავსტრალია)	2:0
1978	3	ავსტრია — გფრ	ფოგთსი (გფრ)	3:2
		ჰოლანდია — იტალია	ბრანდტსი (ჰოლანდია)	2:1
		შოტლანდია — ირანი	ისკანდარიანი (ირანი)	2:0
1982	1	ინგლისი — ჩეხოსლოვაკია	ბარმოში (ჩეხოსლოვაკია)	2:0
1986	1	კორეა — იტალია	ჩო კვანგ რაე (კორეა)	2:3
1994	1	აშშ — კოლუმბია	ესკობარი (კოლუმბია)	2:1
1998	5	ბრაზილია — შოტლანდია	ბოიდი (შოტლანდია)	2:1
		მაროკო — ნორვეგია	ჩიპო (მაროკო)	2:2
		საფრანგეთი — ს. აფრიკა	ისა (ს. აფრიკა)	3:0
			ისა (ს. აფრიკა)	
		ნიგერია — ესპანეთი	სუბისარეტა (ესპანეთი)	3:2
2002		პარაგვაი — ს. აფრიკა	სტრუვაი (პარაგვაი)	2:2
		აშშ — პორტუგალია	ჟორჟე კოშტა (პორტუგალია)	3:2
			ჯეფ აგუსი (აშშ)	
		ესპანეთი — პარაგვაი	პუიოლი (ესპანეთი)	3:1

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკრებიდენტო ნიღბები

რიმას ჟურნალისტისა: რა ხდება ხუნდაში ბანტაძის შეხვედრაზე ქეიფსა

ფოტო: ალექსანდრე ფეფელაშვილი

ირაკლი პერტაია

საბჭოთა კალათბურთის ვარსკვლავებზე საუბარს მისი სახელით არ ინყებენ, თუმც არც უმისოდ ამთავრებენ. აი, ლიტველებზე თუ მიდგება საქმე, ის ერთ-ერთი პირველია. რიმას კურტინაიტისი იმ თანავარსკვლავედის ნევრია, რომლითაც ეს ციცქნა, თუმც კალათბურთზე უზომოდ შეყვარებული ქვეყანა ამაყობს.

წლების მანძილზე რუსული ჩექმის ქვეშ მოქცეული ლიტველები კურტინაიტისის, საბონისის, იოვაიშასა და სხვათა მარჯვენით იოხებდნენ გულს დამპყრობზე. ეს ის დროა, როცა კაუნასის „ყალგირისი“ ხშირად მშრალზე ტოვებდა მოსკოვის ცსკას. მაგრამ კალათბურთიც ხომ სამართლიანი თამაშია და კურტინაიტისი საბჭოთა კავშირის ნაკრებში ისევე შემართებით იბრძოდა, როგორც — „ყალგირისში“. მისი ყველაზე დიდი მიღწევაც საბჭოთა ნაკრებს უკავშირდება — 1988 წლის სეულის ოლიმპიადაზე კურტინაიტისის წყალობითაც იყო, ალექსანდრ გომელსკის გუნდმა იუგოსლავიელებს ოქრო რომ წაართვა. რიმასის თამაშის მიწურულს ჩაგდებულმა სამქულიანებმა წითელ ნაკრებს მიუნხენის მერე პირველი და უკანასკნელი ოლიმპიური ოქრო მოუტანა.

კურტინაიტისი ივნისის დასაწყისში თბილისში გვესტუმრა — სხვა საბჭოთა და ევროპელ ვარსკვლავებთან ერთად კალათბურთიდან გააცილა ნიკოლოზ დერიუგინი, ჩვენი საუბარი კი საბენეფისო მატჩამდე ორიოდ საათით ადრე სასტუმროში გაიმართა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— კარგა ხანია, თბილისში არ ყოფილხართ...

— წარმოიდგინეთ, არც ისე დიდი ხანია. 1996 წელს კაუნასის „ჟალგირისს“ ჩამოვყევი, ევროპის თასზე „ვითას“ ხვდებოდა. მანამდე კი თბილისში ბოლოს საბჭოთა ხანაში ვყოფილვარ, როგორც ჟალგირისელი.

— თბილისის „დინამოსთან“ მატჩებიდან როგორი შთაბეჭდილებები შემოგრჩათ?

— რამდენჯერაც უნდა ჩამოვიდე თბილისში, მუდამ ნოსტალგიით ვარ შეპყრობილი. ძველი დრო მახსენდება. თქვენი ქალაქი ძალიან მიყვარს, ისევე, როგორც ქართველები. „დინამოსთან“ მატჩების თემას კი რა ამოწურავს, თითოეული შეხვედრა ზეიმი იყო. თამაშებს რომ თავი დავანებოთ, მარტო ის რად ღირდა, ათიათასიანი სპორტის სასახლე მუდამ სავსე რომ იყო. ასეთი რამ სხვაგანაც მინახავს, მაგრამ ქართველი გულშემატკივარი ყველაფერთან ერთად ინტელექტუალურიც იყო, ასეთ შემთხვევაში ჩემთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა, ვის ქომაგობდნენ. მთავარი ის იყო, რომ ამ ხალხს კალათბურთის ესმოდა, ეს კი ყველა მოთამაშისთვის ბევრს ნიშნავდა. თბილისში ჩამოსვლა იმიტომაც მიხაროდა, რომ, სხვა ქალაქებისგან განსხვავებით, აქ გულითადი სტუმართმოყვარეობთ გვხვდებიან. ყოველი მატჩის შემდეგ რესტორანი მაინც „გარანტირებული“ გვქონდა. ისე, ბატკანსაც ხშირად გვიკლავდნენ, ბუნების წიაღშიც არაერთხელ გვიქეიფია.

— „დინამო“ — „ჟალგირისის“ მატჩებს, განსაკუთრებით თბილისურს, დაძაბულობა არასდროს აკლდა. მოედანზე ნამდვილი ომი მძვინვარებდა...

— ბრძოლა ნაღდად კაცური იყო, მაგრამ მოედნიდან ხინჯი არავის მიჰყვებოდა. მატჩამდეც და მის შემდეგაც ყველანი ძმები ვიყავით, მოედანზე კი ერთმანეთს არ ვინდობდით. ეს ბრძოლები არასდროს დამავიწყდება.

— დინამოელთაგან ვის გამოარჩევდით? ვისთან გიჭირდათ თამაში?

— ყველანი ნიჭიერები იყვნენ. კოლია დერიუგინზე ამჯერად არ ვილაპარაკებ. ყველამ კარგად ვიცით, ვინ იყო და როგორ თამაშობდა. ჩემს მეურვეობას გელა დარსაძე ეშურებოდახოლმე. გელა ნიჭიერი მოთამაშე იყო და ბევრ პრობლემასაც მიქმნიდა. ბურთს გონივრულად ათამაშებდა ბურთს და შორიდან უფრო კარგად ისროდა, ხშირად სამქულიანის ნიშნულსმიღმიდან, კარგა შორიდანაც ჩაუგდია. საერთოდ, კალათბურთელთა „შესაფასებლად“ სამი დონე არსებობს: ძალიან კარგი, კარგი და ცუდი. დარსაძე „კარგის“ დაბლა არასდროს ჩამოსულა.

— თქვენ დროს ვინც კარგი კალათბურთელი იყო, ცსკა ცდილობდა მის გადაბირებას. ამ გუნდში თქვენც გითამაშიათ...

— დიახ, ეს ჩემი კარიერის პირველ წლებში იყო. ცსკა-ში ერთი სეზონი დავრჩი და შემდეგ „ჟალგირისში“ გადავედი, სამშობლოში მიჯობდა თამაში.

— კარიერა სად დაიწყეთ?

— რიგის სკა-ში, სადაც 1981-82 წლების სეზონში ვთამაშობდი. მერე იყო ცსკა, რის შემდეგაც „ჟალგირისში“ ხუთი წელი გავატარე და სათამაშოდ უცხოეთში გავემგზავრე.

— სწორედ მაგ დროს მარჩულიონისი და ვოლკოვი ნბა-ში წავიდნენ. თქვენ არ გქონიათ ამერიკაში თამაშის შანსი?

— დავიწყებ იმით, რომ მარჩულიონისი და ვოლკოვი, ისევე როგორც საბონისი, ჩემზე უმცროსები არიან. იმ დროს მე 28 წლისა ვიყავი, ისინი კი 24-ის. ამერიკელები მუდამ ახალგაზრდებს ანიჭებდნენ უპირატესობას, თანაც მე გამთამაშებელი ვიყავი, ჩემი დონის ამ ამპლუის კალათბურთელი კი იქ ასობით იყო.

— დაინტერესებაც არ გამოუჩენიათ?

— როგორ არა, „მინესოტა ტიმბერვულვზიდან“ დამიკავშირდნენ, მაგრამ უკვე დაგვიანებული იყო, გერმანიის „ჰაგენთან“ მქონდა კონტრაქტი გაფორმებული.

— უცხოური კარიერის საუკეთესო წლები სად გაატარეთ?

— გერმანიის მერე ერთი სეზონი ავსტრალიაში ვითამაშე და მადრიდის „რეალში“ გადავედი. ესპანეთში ორ წელიწადს დავრჩი, ყველაზე ტკბილად ამ დროს ვიხსენებ, ალბათ იმიტომაც, რომ იქ მე და საბონისი ერთად ვიყავით.

— კარიერა სად დაასრულეთ?

— ესპანეთიდან სამშობლოში დავბრუნდი. „ჟალგირისში“ ერთი სეზონი ვითამაშე და საფრანგეთის „შალონში“ გადავედი. კარიერაც იქ დავასრულე, უფრო სწორად, დასრულება მომიხდა.

— მოგვიანებით თქვენ ლიტვის ხელისუფლებაში იყავით. ამის გამო ხომ არა?

— დიახ. „შალონში“ რომ ვთამაშობდი, უკვე საკმაო ხნის ვიყავი, ლიტვაში კი სპორტის მინისტრის პოსტი შემომთავაზეს. ვარჩიე, სამშობლოში დავბრუნებულიყავი.

— რად შემოგთავაზეს მინისტრობა? პოლიტიკასთან მანამდეც გქონიათ კავშირი?

— ლიტვის პრეზიდენტი ვიტაუტას ლანდსბერგისი ჩემი მეგობარია. ჩვენ ერთად ვიყავით კონსერვატიულ პარტიაში და როცა არჩევნებში ამ პარტიამ გაიმარჯვა, ლანდსბერგისმა სპორტის სფერო მე ჩამბარა.

— მინისტრობა უფრო რთული იყო თუ კალათბურთელობა?

— ცხადია, მინისტრობა. პოლიტიკა სიბინძურითაა სავსე. ხელისუფლებაში ოთხ წელწად-ნახევარის ყოფნისას ეს კარგად დავინახე და გამოვცადე. თანამდებობიდან ჩემი წასვლაც სწორედ ამ სიბინძურეს უკავშირდება.

— კერძოდ?

— საქმე ისაა, რომ ლიტვაში, ისევე, როგორც ბევრ ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყანაში, ხელისუფლებაში ყოფილი კომუნისტები არიან. ზოგიერთი განიკურნა ამ სენისგან, ზოგმა კი მხოლოდ ნიღაბი შეიცვალა, სულით კი იგივე დარჩნენ. ახალი პრეზიდენტი, ალგირდას ბრაზაუსკასი, ყოფილი კომუნისტია. ის დემოკრატიული პარტიის ჭურჭშია გახვეული, თუმცა იმ პრინციპებითა და შეხედულებებით ცხოვრობს, სოციალისტურ ხანაში რომ იყო. კომუნისტებისადმი ჩემი უარყოფითი დამოკიდებულება არასდროს დამიმალავს, საბჭოთა კავშირის დროსაც არაერთხელ ხმამაღლა გამიკრიტიკებია ის რეჟიმი.

ასე თუ ისე, კალათბურთელებს სხვებზე ხშირად გვიწევდა საზღვარგარეთ გასვლა და მეც მუდამ ვკითხულობდი: რატომ არის, რომ ევროპაში ჭამენ და იცვამენ იმას, რაც სურთ, ჩვენთან კი — იმას, რასაც შოულობენ? არ ვიცი, საქართველოში როგორ, მაგრამ ლიტვაში ერთ ქილა მაიონეზს რომ იშოვიდი, პირველი კაცი იყავი. აი, შამპანურსაც თუ მოიხელთებდი, ნამდვილი ახალი წელი იყო. როცა ბრაზაუსკასი პრეზიდენტი გახდა, ერთ დღეს თავისთან დამიბარა და ძველი სიტყვები გამახსენა. მიმანიშნა, მინისტრობიდან უნდა გადავმდგარიყავი, ხალხის თვალის ასახვევად კი გაწეული შრომისთვის დამაჯილდოვა. ეს ერთი მტკივნეული შემთხვევაა, თორემ ასეთები პოლიტიკაში გამუდმებით ხდება.

— ბრაზაუსკასის გამო ხომ არ დატოვეთ ლიტვა?

— დიახ, სწორედ, მის გამო. შესაძლოა, უბრალო ხალხმა არ იცოდეს, ვინ არის ბრაზაუსკასი, მაგრამ მე ხომ ვიცი. იმ პერიოდში ალექსანდრ ვოლკოვმა უკრაინაში მიმიწვია სამუშაოდ — მინდა „ბკ კიევისგან“ ევროპული დონის კლუბი ჩამოვაყალიბოო. არც დავფიქრებულვარ, ისე გავემგზავრე კიევს მივაშურე და დღესაც ამ კლუბში ვარ გენერალურ მენეჯერად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ათწლეულების ძლიერი გმირი!

ირაკლი ფირაშვილი

ამა წლის ივნისი მსოფლიო საფეხბურთო ფორუმის თვე იყო და შორეული აღმოსავლეთის ძალიან მწვანე მინდვრებზე გაჩაღებული ბრძოლების ციებ-ცხელებაში ჩვენმა დედაქალაქმა იქნებ ჯეროვანი ყურადღება ვერ მიაპყრო ერთ ივნისურ დღეს. თბილისი ამ დღეს, ალბათ, ორ-სამ კვირაში ისევე მივიწყებს, როგორც სხვა სპორტულ-საზოგადოებრივ სალამოებს, მაგრამ იმ სალამოს მთავარი გმირის სახე და სახელი უთუოდ კიდევ ათეულობით წელი ემახსოვრება სპორტში თუნდაც ცალი თვალით ჩახედულ ჩვენი და არა მარტო ჩვენი ქვეყნის ნაწილს.

8 ივნისს საქართველოს კალათბურთის ფედერაციამ, ძველმა თანაგუნდელ-მეგობრებმა და, რაღა თქმა უნდა, საზოგადოებამ აქტიური სპორტიდან გააცილა დიდი ქართველი კალათბურთელი ნიკოლოზ დერიუგინი. მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი, ოლიმპიური თამაშების პრიზიორი 8 ივნისს უკანასკნელად გამოვიდა მოედანზე, ძველ თანაგუნდელებთან, თანამედროვე და თანაჩემპიონ მეგობრებთან წაითამაშა, ტრიბუნებს ხელი დაუქნია და თვალს მიეფარა.

შესანიშნავი გამოდგა დერიუგინის ბენეფისი. მართალია, მიზეზთა გამო, სპორტის სასახლე არ გავსებულა, — საბჭოეთის უდიდესი საკალათბურთო სარბიელი უფრო დერიუგინის ახალგაზრდობაში ივსებოდა. სამაგიეროდ სალამოს არ აკლდა ტაში, სითბო, ცეკვა-სიმღერა, მილოცვა-დალოცვა, არ აკლდნენ ქართული მოდერნ-ესტრადის და, რაღა თქმა უნდა, კალათბურთის ძველი ვარსკვლავები.

კლუბის თუ ნაკრების თანაგუნდელთა გარეშე კოლიას ბენეფისი აბა, როგორ ჩაივლიდა. არაქართული გვარის დიდი ქართველი „ცენტრი“ გააცილა იმ ხალხმა, ვინც მას მთელი კარიერის განმავლობაში ეხმარებოდა მეტოქის ძლევაში, ზოგი კი თავად გახლდათ დერიუგინის მეტოქე. დერიუგინისა და ვეება უკრაინელი „ცენტრის“ ვლადიმირ ტკაჩენკოს სპორტულ დაპირისპირებაზე ბევრის გახსენებადაწერა შეიძლება, მაგრამ ისინი თანაგუნდელებიც იყვნენ საბჭოთა კავშირის ნაკრებში და ერთად იღვწოდნენ მსოფლიოს ერთი მეექვსედი ქვეყნის სასახელოდ. 8 ივნისს ტკაჩენკო ძველი „მტრის“ და მეგობრის ბენეფისზე გახლდათ, აქეთ-იქით დააბოტებდა, ძველებურად აცვიფრებდა და აღაფრთოვანებდა ხალხს. ეგაა მოედანზე არ გასულა, — 13 წელია ბურთი ხელში არ ამიღიაო, უთქვამს და ესეც დაუყოლებია: კოლიამ არა და, დრომ კი უკვე მიმაღებინა მეხუთე პერსონალური, ასე რომ, თამაშიდან გამოთიშული ვარო. 220-სანტიმეტრიან კეთილ გოლიათს ყველა სხვაზე მეტად ეტყობოდა დროის სუსხი.

სამაგიეროდ დერიუგინთან ერთად მოედანზე გამოვიდნენ საბჭოეთის 80-იანელი ვარსკვლავები: რიმას კურტინაიტისი, ალექსანდრ ვოლკოვი, სერგეი ტარაკანოვი, ალექსანდრ სალნიკოვი, იგორს მიგლინიეკსი და ხოსე ბირიუკოვი. „საბჭოეთის ნაკრებს“ ამხანაგურად დაუპირისპირდნენ გელა დარსაძე, გია სანაძე, ანდრეი ტიუბინი, პაატა გურასპაული, ნოდარ ქორქია და სხვა ძველი დინამოელები. „საბჭოეთის ნაკრების“ წევრთა სიმცირის გამო, ისინი კი ტკაჩენკოს გარეშე ექვსნი იყვნენ, კოლია დერიუგინი მათ შეუამხანაგდა და იმ გუნდს დაუპირისპირდა, რომელსაც წლების განმავლობაში წინ უძღოდა. სამაგიეროდ „დინამომ“ შეიმატა სტამბულის „ულქერის“ ნორჩი ცენტრი ზაზა ფაჩულია. დერიუგინს თავიდან კი გაუჭირდა ყმაწვილი მეურვის წინააღმდეგ თამაში, მაგრამ მერე თანდათან ათამაშდა და „დინამოს“ 26 ქულა ჩაუგდო. მატჩის მიწურულს მან და ფაჩულიამ მაისურები და გუნდები გაცვალეს და დერიუგინმა „დინამოსთვისაც“ მოიხვეჭა ქულები.

ყველაფერი წესისამებრ დამთავრდა, მოგებით ის თამაში არავის მოუგია. მატჩი 62:62 დასრულდა. სამაგიეროდ გაიმარჯვა სიყვარულმა, რომელიც იმ სალამოს უხვად ერგო ნიკოლოზ დერიუგინს. ის ამას საკუთარი იმსახურებდა.

ბურაბ დოლიძეგაბაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

REUTERS

ვინუს და სერენა უილიამსები როლანგაროსული ჯილდოებით

CHERCHEZ SERENA

ლევან კელაურაძე

 წლევანდელ როლან გაროსს ფონად ორი ფორსმაჟორული მოვლენა დაჰყვა -- წვიმა და მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატი. პირველმა პარიზელ მამათა დავთრები პირველივე დღიდან არია, მეორე კი სეფესათიხნარო ჩოგნაობას შუაწელში შეუვარდა და, მართალია, ერთგული ქომაგი არ წაურთმევია, მაგრამ საპირველგვერდო პატივი მაინც აჰყარა.

მთავარსათაურებში აღზევების უფლება საფრანგეთის ღია პირველობიდან წამოსულმა გზავნილებმა მხოლოდ მაშინ თუ დაიბრუნეს, როცა ტურნირს ერთბაშად გამოაკლდნენ მსოფლიოს უპირველესი მეჩოგნე კაცი ლეიტონ ჰიუიტი და კაცთა სარბიელის უმთავრესი ფავორიტი ანდრე აგასი.

მერვე საკარიერო სლემტიტულის მოპოვებას 32 წლის ჯადო-ლასვეგასელს მართლაც ბევრი უწინასწარმეტყველებდა. გარდა იმისა, რომ დღემდე მოთამაშეთაგან აგასი ერთადერთია, ვისაც დიდი სლემის ოთხივე ტურნირი მოუგია, წლეულს მას საუცხოო სათიხნარე სეზონი ჰქონდა და როლან გაროსის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე მასტერსის სერიის რომაული ტურნირის მოგებაც შეძლო, რითაც თავისი მასტერსმონაგარი სარეკორდო 14 ტიტულამდე გაზარდა.

აგასის გაჩემპიონებას სპეციალისტებს ამ სეზონში მისი კონკურენტებისა და ამათგან, უწინარეს ყოვლისა, ესპანელთა არც ისე დამაჯერებელი თამაშიც ავარაუდებინებდა.

ვაგლახ — ყოველგვარი ვარაუდის წინააღმდეგ, ტურნირზე უმთავრესი „პარტიების“ შესრულება სწორედ ესპანელებმა იკისრეს. ხუან კარლოს ფერერომ (№11), ალექს კორეჩამ (№18) და ალბერტ კოსტამ (№20) რუს მარატ საფინთან (№2) ერთად ნახევარფინალამდეც მიაღწიეს. პირველივე მატჩიდან მოსალოდნელზე შეუდარებლად მდარედ მოთამაშე აგასიმაც თავისი საროლანგაროსო პრეტენზიები სწორედ 10 წლით უმცროს ფერეროსთან მეოთხედფინალურ შეხლაში დაასამარა.

შარშანდელ ჩემპიონს, სამგზის მეროლანგაროსე გუსტავო კუერტენსა (№7) და მერვედფინალიდან ლეიტონ ჰიუიტის მაოტარ არგენტინელ გილერმო კანასს (15) ჩოგნები შალითებში ალბერტ კოსტამ შეანახვინა. ბრაზილიელი მან მერვედფინალში დაჩაგრა, ხოლო კანასს მეოთხედფინალში მოუღო ბოლო. თავის პირველ სლემფინალში მოსახვედრად მერე მას სიყრმის მეგობრისა და ერთ კვირაში ხელისმომკიდედ პატივდებული ალექს კორეჩას, შარშანდელი ფინალისტის ძლევაც მოუხდა.

გადამწყვეტ მატჩში კოსტა უმცროს თვისტომს, საამფინალოდ უცილობელ ფავორიტად შერაცხულ ფერეროს შეეყარა. „კოღობიჭმა“ — ხუან კარლოსს წვიტინა სახის გამო სწორედ ამგვარი თიკუნით მოიხსენიებენ — იქით ფავორიტობის ტვირთს ვერ გაუძლო, აქეთ 26 წლის თანამეჯილაგე მეტოქის ბასრ მიძალებას და თითქმის უბრძოლველად — 1:6, 0:6, 6:4, 3:6 დანებდა.

მანუელ სანტანას, ანდრეს ხიმენოს, სერხი ბრუგერასა და კარლოს მოიას შემდეგ კოსტა მეხუთე ესპანელი ხვადია, ვინც პარიზული გვირგვინი მოირგო. სხვათა შორის, ამ გვირგვინს თან გამარჯვებულისთვის დათქმული 750 ათასი დოლარიც ახლდა.

რაც შეეხება ქალთა მხარეს, აქ ყველაფერი ისე მოხდა, როგორც ვარაუდობდნენ. „Cherchez Serena“ ანუ „ეძიეთ სერენა!“ — აი, ასეთი იყო საქმეში ჩახედული ხალხის წინასატურნირო ლოზუნგი. მამა რიჩის ჩაკუნთულ გოგოცუნას ამ სეზონამდე სათიხნარე მეოთხედფინალს მიღმა ჩოგანი ერთხელაც არ გაექნია, მაგრამ წლეულს მართლაც სასწაულად ითიხნარა და პარიზულ კორტებს გარდაუვალ ფავორიტად ეწვია.

შავდათა ისტორიულ ფინალში — ფინალისკენ მიმავალ გზაზე მათ წინააღმდეგობა ვერავინ გაუწია — სერენამ თავისი უფროსი დაიკო ვინუსი დაჯაბნა — 7:5, 6:3.

მათს სავარაუდო რაყიფებად შერჩეულთაგან ბელგიელმა ჟუსტინ ენენმა (№5) პირველსავე წრეში წააგო ნაკვალიფიკაციევ უნგრელ ანიკო კაპროშთან, ჟუსტინის მხარმტკივანი თვისტომი კიმ კლაისტერსი (№4) ტურნირის არგენტინელმა აღმოჩენამ, ნახევარინალში ვინუსისგან ძლეულმა წოწოლა კლარისა ფერნანდესმა მესამე წრიდან დაიფრინა, ხოლო შარშანდელი ჩემპიონი ჯენი კაპრიატი (№1) ისევ სერენას მსხვერპლი გახდა. ამ ზამთარ-გაზაფხულზე სერენა და ჯენი ერთმანეთს ოთხჯერ შეასკდნენ და ოთხივე ჯახი „შავდის“ გამარჯვებით დასრულდა.

ისტორიული კი შიდადური ფინალი რამდენიმე რამის გამო იყო.

მოდ და ლილიან უოტსონების შემდეგ, რომლებმაც 1884 წლის უიმბლდონის ფინალში ითამაშეს, დები უილიამსები პირველები არიან მეჩოგნე დედმამაშვილთა შორის, რომელთაც დიდი სლემის ტურნირების ფინალში გასვლა მოახერხეს. პირველად ეს მათ შარშან, ამერიკის ღია პირველობაზე გამოუვიდათ. მაშინ გამარჯვება ვინუსმა მოიპოვა.

აღსანიშნავია ისიც, რომ შავდები ფინალში ერთმანეთს ქალთა კლასიფიკაციის №1 და №2 მეჩოგნეებადაც შეეყარნენ. ასეთი რამ კი ადრე არასოდეს მომხდარა! თუმცა ისტორიას არც ის ახსოვს, რომ დები თუ ძმები ამა თუ იმ რეიტინგსიის მეპირველენი ყოფილიყვნენ!

და ბოლოს — ალთეა გიბსონის შემდეგ სერენა პირველი შავკანიანი მეჩოგნეა, ვინც როლან გაროსის კორტები აიკლო. გიბსონმა ეს შორეულ 1956-ში შეძლო.

მეორე შიდადურმა სლემფინალმა უილიამსთა მეგობრული ოჯახი ჯამში 879 ათასი დოლარით გაამდიდრა. აქედან 293 ათასი მამა რიჩის ვინუსისგან შეუვიდა, გამარჯვებულისთვის კუთვნილი 586-ათასიანი ჩეკით კი გაუმაძღარი გული მას უმცროსმა გოგომ დაუამა.

ალბერტ კოსტა ფინალში გამარჯვების შემდეგ



REUTERS

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემს ტვინში მისი ხელი?– რა სისულელეა!

ფუტა სიხარულიძე

გასული თვის სპორტული ცხოვრება ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატის გარდა კიდევ ერთი ძალიან დიდი მოვლენით გახლდათ მდიდარი — მეძფისის „პირამიდაში“ მძიმეწონოსანი მოკრივეების — ლენოქს ლუისისა და მაიკ ტაისონის დიდი ხნის ნანატრი ბრძოლა გაიმართა. ახლა წინასტორიას აღარ მოვყვებით. ბრძოლას დიდი ვნებათა ღელვა და აჟიოტაჟი უძღოდა. ამ შეხვედრის მოწყობას კრივის მაგნატები რამდენიმე წლის განმავლობაში ცდილობდნენ. „პირამიდის“ ტრიბუნებზე მთელმა აფრიკული წარმოშობის ჰოლივუდმა მოიყარა თავი და იხილა რვარაუნდიანი შეტაკება, რომლის ყოველი მომდევნო რაუნდი ტაისონის დაუძლურებას და ლუისის გალაღებას მოასწავებდა. ბოლოს, მე-8 რაუნდში, ლუისმა ტაისონი ნოკაუტში გაისტუმრა, ბრძოლის შემდეგ კი პრესკონფერენციაზე განაცხადა:

„მეტი რა ვქნა, ბიჭებო? კაცმა რომ თქვას, სხვა სათქმელიც არაფერი მაქვს. მინდა ჩემს ბანკს მადლობა გადავუხადო, მადლობას ვუძღვნი მემფისელ ხალხსაც. ისე, ბევრს ჩემი წარმატებისა არ სჯეროდა. ისინი ფიქრობდნენ, რომ ტაისონი ისევ ის მოკრივე იყო, კარიერის დასაწყისიდან რომ ახსოვდათ, მე კი მისი ბოლო ბრძოლების ჩანაწერები შევისწავლე და დავრწმუნდი, რომ დღეს მასზე ძლიერი ვარ. მიხარია, რომ რინგზე სიბინძურე არ მომხდარა. მართალი გითხრათ, თავიდან წელს ქვევით დარტყმას ველოდი, თუმცა ბოლო კვირის განმავლობაში მივხვდი, რომ ყველაფერი წესის მიხედვით ჩაივლიდა.

მთელი ამ ხნის განმავლობაში მეკითხებოდნენ, რა იქნებოდა და როგორ. იცით, როგორც ფსიქოლოგიური, ისე ფიზიკური თვალსაზრისით, იოლი ბრძოლა არ არსებობს. თან, ტაისონი სულ იმუქრებოდა, რაღაცეებს ამბობდა, მე კი, ბატონებო, პროფესიონალი ვარ, ასეთებში ჭიპი მაქვს მოჭრილი და ნაკლებად მაღელვებს, რინგს გარეთ ვინ რას ამბობს.

ტაისონის ნათქვამებიდან ბევრი სისულელე იყო — ხელს ტვინში ჩავუყოფო და რაღაც ამდაგვარს გაიძახოდა. ჩემზე კი, ხომ გეუბნებით, ასეთი რამ გავლენას ვერ ახდენს. ჩემთვის მთავარი მომზადებაა, ყურადღების მოკრება.

პირველ რაუნდში ის ცდილობდა დავეშინებინე, მე კი ვცდილობდი მეჩვენებინა, რომ მისი არ მეშინია. მეტიც, მე ვცდილობდი მეჩვენებინა, რომ რინგზე მეფე ვარ. საბოლოოდ ჩემმა მწვრთნელმა, მანუელ სტიურადმა მითხრა, რომ რაუნდი წავაგე და დამშვიდება მირჩია. მეორეში მივხვდი, რომ ტაისონი ვერსად წამივიდოდა. მე მისი ცემა დავიწყე. დანარჩენი დროის ამბავი იყო. ბევრს სურდა მეოთხე რაუნდშივე დამენოკაუტებინა, მაგრამ ისინი ვერ ხედავდნენ — სხვათა შორის, ვერც ტაისონი მიხვდა — რომ მარჯვენა ხელი ვიტკინე. ამიტომ ნოკაუტის რამდენიმე რაუნდით გადადება ვამჯობინე. ხელს დასვენება სჭირდებოდა. შედეგად ტაისონს ცხოვრება გაუიოლდა, ოღონდ მერვე რაუნდამდე, მერვეში მას, უბრალოდ, გადარჩენის შანსი აღარ ჰქონდა. დავაკვირდი, რომელ მხარეს უნდა დამერტყა, ყველაფერი რომ დამესრულებინა, და როდესაც მივხვდი, მარჯვენა ხელით მოვუთავე კიდეც საქმე.

ახლა რეფერიზე გავიგე, ბევრს ისეთი შთაბეჭდილება დარჩენია, რომ რეფერი ჩემს წინააღმდეგ იყო. ხომ გახსოვთ, ქულა რომ ჩამომართვა, შენ რომ მუშტი მიაყოლე, ის უკვე წაქცეული იყო? მე ვუთხარი, რომ იმ წამს ის წაქცეული სულაც არ იყო, მაგრამ რინგზე რეფერისთან კამათის დრო ნამდვილად არ მქონდა. თავს მხოლოდ მაქსიმალური ყურადღებისკენ მოვუწოდებდი, რადგან ჩემს წინააღმდეგ საშიში კაცი იბრძოდა.

მერე მითხრეს, ხელებდაშვებული რატომ იბრძოდიო. ეს ნამდვილად არ მახსოვს. ისიც მკითხეს, შენს კარიერაში ყველაზე დიდი სიამოვნება ამ გამარჯვებამ ხომ არ მოგანიჭაო. დიახ, რატომაც არა. რაც მინდოდა, ის გავაკეთე.

ახლა იმაზე, ასეთი დიდი გამარჯვების შემდეგ სპორტიდან წასვლას ხომ არ ვფიქრობ: წასვლა მართლაც შეიძლება. თუმცა, ამბობენ, ტაისონს რემატჩის ნებაც უნდა მისცეო. რატომ? ეს ბრძოლა ყველაფრის დასამტკიცებლად საკმარისი არ იყო? თუ არ იყო, კი ბატონო, ვიფიქროთ რემატჩზეც.

ჩემს წინააღმდეგ აგრესია რატომ არ გამოავლინა? იცით, ძნელი იყო მისთვის ამ აგრესიის გამოვლენა, რადგან ძირითადად საკუთარი სახის უსაფრთხოებით იყო დაკავებული. ისე, ბრძოლის შემდეგ რომ არ მაგინა, გამიკვირდა“.



გერმანია 2002. დგანან: სებასტიან კელი, დიტმარ ჰამანი, მიხაელ ბალაკი, კრისტიან ციგე, კრისტოფ მეცელდერი, თომას ლინაე.
სხედან: ბერნდ შნაიდერი, მიროსლავ კლოზე, ოლივერ კანი, ტორსტენ ფრინგსი, ოლივერ ნოვილი